# სახალხო გაზეთი

№ 1096 ოთხშაბათი, 22 იანვარი 1914 წ. № 1096

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკაია ქ., ს. სიტოვის და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოდენი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და ლექსრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერ.

## სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1914 წელსაც გაზეთს ექნება

### სურათებიანი დამატება

(კვირაობით).

პრემიად 1914 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ სამი წიგნი

პირველი წიგნი: „ქართველი მწერლები", რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1) „უგვირგვინო მეფენი", ისტორ. დრამა 5 მოქ. სანდ. შანშიაშვილისა. 2) „მიმქრალი შარავანდედი", ისტორ. რომანი ვ. ბარნოვისა და სხვ.

მეორე წიგნი: „უცხოეთის მწერლები", რომელშიაც დაიბეჭდება: „დონ-კარლოსი", ტრაგედია შილლერისა, თარგმანი გერმანულით სანდრო შანშიაშვილისა და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის მწერლებისა.

მესამე წიგნი: „სამეცნიერო კრებული", ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50 | 8. | 7. 50 | 6. 75 | 6 | 5. 25 | 4. 50 | 3. 75 | 3 | 2. 25 | 1. 50 | 75. |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოცვლის ფასი ტფილისსა ტფილისის გარედ, ან ტფილისის გარეთისა იგივე ტფილისის გარეთისაზე 40 კ.

დანარჩენ შემთხვევებში უფასოა.

სამი აბაზი უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც პირველ მიაქვს ფოსტით სამი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით

მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 ივლისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ოქტომბრამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება: 1) „სახალხო გაზეთის" კანტორაში, სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან. 2) ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში.

ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.


უაზარ, მიხეილ და ივანე სტეფანეს ძენი კარნაზოვები, მარიამ სტეფანეს ასული თოროზოვისა, სოფიო სტეფანეს ასული კარმიზოვისა და ანა სტეფანეს ასული ტატიანცი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასის მამის

## სტეფანე არონის ძე კარნაზოვის

(იმიგ მაჟალუაშვილის)

გარდაცვალებას. პანაშვიდი ოთხშაბათს, 22 იანვარს, საღამოს 6-ნახევარ საათზე. გამოსვენება სომხების ღვთისმშობლის ეკლესიაში, ვორონცოვის ძეგლთან, ხუთშაბათს, 23 იანვარს, დილის 10 საათზე, ბინიდან—სახლი № 62, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე. დაკრძალვა კუკიის სომხების სასაფლაოზე. 28


## ქართული თეატრი

კვირას, 26 იანვარს, 1914 წ., ქართ. დრამატ. საზოგად. გამგეობის მიერ

### კ. დ. ყიფიანის

45 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად ქართულ სცენაზე გამართული იქნება

### სადღესასწაულო საიუბილეო წარმოდგენა

დ ი ლ ი თ:

კონცერტი და სადღესასწაულო მილოცვები.

„ახალი კლუბის" სიმებიანი ორკესტრი გ. პრესმანის ლოტბარობით. ქართული ხორო გ. მ. კვესაძის ლოტბარობით.

ადგილების ფასი: ლოჟები: ლიტერისა ბელ-ეტაჟის 10 მ., ქანდარისა 5 მ., ბენუარისა 8 მ., ბელ-ეტაჟის პირდაპირ 7 მ., გვერდებისა 5 მ. პარტერი: 1 რიგი 4 მ., 2 რ. 3 მ., 3 და 4 რ. 2 მ. 50 კ., 5 და 6 რ. 2 მ., 7, 8 და 9 რ. 1 მ. 50 კ., 10, 11 და 12 რ. 1 მ. 20 კ., 13, 14, 15, 16 და 17 რ. 1 მან. ქანდარა პირდაპირ: 1 რ. 50 კ., 2, 3 და 4 რ. 40 კ., 5, 6 და 7 რ. 35 კ., 8 რ. 30 კ. გვერდები: 1 რ. 35 კ., 2 და 3 რ. 25 კ. დასაწყ. დილის 12 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქ-ნ მ. საფაროვ-აბაშიძისა, ბ-ნთ გ. აბაშიძისა და გ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილ. წარმ. იქნება: მე-3 მოქმ. სუხოვო-კობილინის კომედიიდან:

I)

### კ ე კ ო.

II) მეოთხე მოქმედება დ. ერისთავის დრამიდან:

### ს ა მ შ ო ბ ლ ო.

III) მეორე მოქმედება კომედიიდან პარიზელი ბიჭი.

ადგილების ფასი: ლოჟები: ლიტერისა ბელ-ეტაჟი 20 მ., ბენუარისა 15 მ., ბელ-ეტაჟი პირდაპირ 12 მ., გვერდ. 10 მ., ქანდარა 6 მ. პარტერი: 1 რ. 6 მ., 2 რ. 5 მ., 3 და 4 რ. 4 მ., 5, 6, 7 და 8 რ. 3 მ., 9, 10 და 11 რ. 2 მ. და 50 კ., 12, 13 და 14 რ. 2 მ., 15, 16 და 17 რ. 1 მ. 50 კ. ქანდარა პირდაპირ 1 რ. 1 მ., 2, 3, 4 და რ. 60 კ., 6, 7 და 8 რ. 50 კ. გვერდისა: 1 რ. 80 კ., 2, 3 რ. 40 კ. დასაწყ. საღამოს სწორედ 8 ს.

1633 ადმინისტრ. დრამატ. საზოგ.

ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი

## დაიწყო ხელის მოწერა

ია ეკალაძის (ი. ცინცაძის) მოთხრობათა მეორე ტომის გამოსაცემად. წიგნი შეიცავს 400—500 გვერდს, დართული ექნება ავტორის სურათი, ფაქსიმილე და კრიტიკული განხილვა.

წიგნი გამოიცემა ავტორის ხელმძღვანელობით სუფთად და ლამაზად.

ხელის მოწერა მიიღება ბბ-ნნ კ. ოცხელის, ის. კვიცარიძის, თ. მთავრიშვილის, „პროვინციის" წიგნის მაღაზიებში და კერძო აგენტებთან.

ფასი ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი.

მიწერ-მოწერა მხოლოდ ავტორთან, შემდეგის მისამართით: ქუთაისი, კათოლიკეთა ქუჩა, სახლი ხოჯევანოვისა. გამომცემელი ია. ცინცაძე. 22

## ტფილისის კერძო სამკურნალო

ძვ. ნიკოლოზის ქუჩა, სახლი, № 7, მიხეილის ბრთსპექტისა და ვიტცინის სახელობის ახლოს.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

წოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი: | მანსვეტაშვილი მ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>მალალაშვილი მ. მ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1.<br>ფედოროვი ი. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. |
| ქირურგ. სნეულებანი. | მარკოვიჩი მ. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.<br>ფირალოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი მერბიცკი-ფირალოვისა ლ. ყოველ დღე 11—12.<br>თიკანაძე ი. ი. ყოველ დღე 1—2.<br>მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1.<br>ფედოროვი გ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>ფონდოევი გ ს. ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირის. | ათენიანცი ნ. ა. ყოველ დღე 12½—1½. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი მ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" წამლის შეზხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი სათანადო. 1426

1914 წ. მიიღება ხელის მოწერა საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ

წლიწ. მეათე. „ნაკადული" წლიწ. მეათე.

(1914 წ. 1-ლ იანვრიდან 1915 წ. 1-ლ იანვრამდე).

ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2.

ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა:

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი, მოზრდილთათვის 12 წიგნი.

36 სურათი, წიგნის პირველ გვერდზე მოთავსებული. ჟურნალშიაც მოთხრობები და სამეცნიერო წერილები დასურათებულია.

საჩუქრად ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი „გზის ძმა და ცეცხლის მფრქვეველი მთები",

(მრავალი სურათებით), გათრგმ. ანთელ იძისა.

ჟურნალს ხელმძღვანელობას უწევს სხვადასხვა ბებით არჩეული კომისია.

ფასი ჟურნალისა: ორივე გამოცემა წლიურად—5 მ., ნახევარი წლით—3 მ., საზღვარ-გარედ—7 მ., ნახევარი წლით—4 მან., მცირე წლოვანთათვის ცალკე 3 მ., მოზრდილთათვის—3 მ. ხელის მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. ხელის-მოწერა შეიძლება:

ტფილისში: „ნაკადულის" რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, Редакція „Накадули", Головинскій просп. № 8, და წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. ქუთაისში—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან, სამტრედიაში—ვლ. ნაცვალაძესთან, ფოთში—თეოდორე კანდელაკთან და კ. თელიასთან, ბათომში—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტრიფონ ინასარიძესთან ფოსტაში და ანასტასია ლომინაძესთან. ოზურგეთში და ლანჩხუთში—ლეონ ასათიანთან, თელავში—ვანო პაატაშვილთან, ახალციხეში—კონსტანტინე გვარამაძესთან, ბაქოში—ვასო აბაშიძესთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან, გორში—ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან, ხაშურში—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, ჭიათურაში—ივანე გომელაურთან, განჯაში—ბ. ამბოკაძესთან, ერევანში—კ. ოდიშარიასთან, ყარსში—ივ. საათაშვილთან, ალექსანდროპოლში—ს. შალვერაშვილთან, ხონში—მ. ი. ბავშანიძესთან, რაჭაში—ილია გოგისთან, ნახიჩევანში—სამსონ მარჯანიშვილთან.

ვთხოვთ ხელის მომწერლებს, ადრესი გარჩევით დასწერონ, თუ ჟურნალი არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და დროზე შეგვატყობინონ ბინის გამოცვლა.

1631 რედაქტორი ნ. ნაკაშიძე. გამომც. თ-დი პ. თუმანიშვილი.

## დღეიდან

### ვაგზლის სამკურნალოში

(აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.

პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.

ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.

ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

სამხედრო ექ. კლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 1—2 ს.

ვაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

წამლობა „914".

1023

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 23 იანვარს, 1914 წ., ქართულ დრამატ. საზოგ. დასის მიერ ვ. აბაშიძის და გ. გედევანოვის მონაწილეობით ელ. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება:

I

პირველად ქართულ სცენაზე ახალი ორიგინალური პიესა

„ბედნიერი დღე"

კომედია 3 მოქმ. პ. ირეთელისა.

II

### ხანუმა

მე-2 და მე-4 მოქმ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: აბაშიძე, ასათიანი, მდივანი, პიერეტი, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი; ბ-ნნი: აბაშიძე, არადელი-იმხნელი, ბარველი, გომელაური, გუნია, გედევანოვი, ზარდალიშვილი, თარალაშვილი, იმედაშვილი, მესხი, სარაული, ურუშაძე, შანშიაშვილი, ციციშვილი, ხონელი და სხ. ანტრაქტებში დაუკრავს საზანდარი.

დასაწყისი სწორედ საღ. 8 საათზე. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვალ. შალიკაშვილი.

ანონსი: მზადდება წარმოსადგენად: „დონ კარლოსი", „ისმინე ისრაელ", „შენი ჭირიმე", „ამოცანა" და სხ.

1006 ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგადოებისა.

საზღვარ-გარეთის კიმონო

## რ. ა. პორტუგალოვისა

იუწყება, რომ კუკიის (ნიკოლოზის) ხიდზე (№ 23—24) არსებულმა

საქარხნო მაღაზიამ

მიიღო დიდ-ძალი შეკერილი ტანისამოსი მამაკაცების, ქალებისა და ბავშვებისათვის. მიღებულია აგრეთვე მამაკაცთა კოსტიუმები, ქალებისათვის ქვედატანი და ხალათები ცალ-ცალკე.

ახლად მიღებულია. ძალიან იაფად, საქარხნო ფასებზე 30 პროცენტის დაკლებით, იყიდება სეზონიდან დარჩენილი საქონელი. იმედი გვაქვს, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დაგვრჩებიან. აქვე მიიღება ყოველგვარი შეკვეთა.

1632 პატივისცემით რ. ა. პორტუგალოვისა.

კ ი მ ო ნ ო

## ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი

შაბათს, 25 იანვარს, დანიშნულია

### მასკარადი.

მიეცემათ ოთხი საჩუქარი საუკეთესო ტანისამოსისათვის და მოცეკვავეს. დაუკრავს ორი მუსიკა: სამხედრო და სიმებიანი. ქალები უნიღბოდ შესვლისათვის ღამის პირველ საათამდე ჯარიმად 50 კ. იხდიან. სტუმრ. იხდიან კაცი 1 მ. ქალი 50 კ., სტუდენტები 25 კ. 1007

## კურსები საერთაშორისო ენის ესპერანტოსი

განახლდება. მსურველთა ჩაწერა შეიძლება ნაშუადღევის 1—2 ს.-დე, კვირას, 26 იანვარს, კავკასიის საექიმო საზოგადოების შენობაში, გიორგიევსკის ქ. № 4, პუშკინის სახ. ბიბლიოთეკის ზევით. მეცადინეობა იქვე კვირაობით, ნაშუადღევის 1—2 საათამდე. სწავლა 26 იანვარს დაიწყება. კურსის ფასი 1 მანეთი. 32

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

შემდეგი წიგნები:

| | |
|---|---|
| აჩრდილი, ი. ჭავჭავაძისა, ფასი 5 კ. | მეფე დიმიტრი თავდად. მისივე. 7 „ |
| გლახის ნაამბობი, მისივე . 20 „ | მოთხრობანი კლდიაშვილისა, 30 „ |
| გლეხთა განთავისუფლ. პირველ დროებ. სცენები, მისივე. 7 „ | მგზავრის წერილები, ილიასი. 7 „ |
| დედა და შვილი, მისივე. . 3 „ | ნაწყვეტები პოლიტიკურ ეკონომიიდან, წულუკიძისა, . 50 „ |
| ვეფხის ტყაოსანი. . . 60 „ | ოთარაანთ ქვრივი, ილიასი. 18 „ |
| თხზულებ. რ. ერისთავისა II, 40 „ | რობინზონ კრუზო. . . 30 „ |
| „ ვაჟა-ფშაველასი. 1 მ.— | უცნაური ამბავი, ილიასი, . 4 „ |
| „ ეკ. გაბაშვილისა. 1 მ. 20 „ | ქილილა და დამანა. . . 1 მ.— |
| „ პუშკინისა. . . 50 „ | ჩარლზ პარნელი. . . 25 „ |
| თორნიკე ერისთავი. აკაკისა, 35 „ | ახლად გამოსული წიგნები: |
| კრილოვის არაკ., აკაკის ნათ. 50 „ | სიტყვ. ისტ. ხახან. XVIII ს. 1 მ. 20 „ |
| კაკო ყაჩაღი, ილიასი . . 5 „ | ბიძია თომას ქოხი, („ნაკადულის" პრემია), . . 1 მ. 25 „ |
| კაცია ადამიანი, მისივე. . 20 „ | |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. гр. нас.

გორის პირველი კერძო

## სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუკნერი მ. გ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

ვინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა წამლობა „606", „914". 1604

ელექტრონის, რენტგენის სინათლის
სამკურნალო
საწოლი ოთახებით
მიხეილ გედევანიშვილისა
ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

საბურთალოზე
მშვენიერ ალაგას
ახლა დ აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ თელღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თამამშევს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

ექიმი პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დილის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, აგრეთვე ტყავის ავადმყ.: გასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — $5^1/_2$ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის
სამკურნალო
ქალ. ბაქოში
მუდმივ საწოლებით;
სულით-ავადმყოფებისა, ავჭნიანებისა და ლოთებისათვის.
ფასი მორიგებით.
ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1608

ბერლინის უნივერსიტეტის
მედიცინის დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ელექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ელექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელვ. სხივურ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 საათამდე, კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. ღარიბების წამლობა დილ. 9—10 ს.-დე უფასოდ. ბებუთოვის ქ. 23. ტელეფ. 7—92. 1616

ექიმი ს. ს. ჯაპარიძე
ოტოლარინგოლოგი ხახუნის კიდეების ნერვების ქლინიკაში.
იღებს ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 737.

ექიმი პ. ლ. კიკალიშვილი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს $5^1/_2$ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

ექიმი
ი. ზ. გძელიშვილი
იღებს თვალისა, შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, წამლობა აგრეთვე ტუბერკულინებით.
19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.), № 17, ტრამვაის გასაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლესიის გასწვრივ. მიღება ავადმყოფების შეიძლება დილის 11 ს.—2 ს. და საღამოთი 5—7 ს. 916

ქ. გორში
(დოკტორანტი).
ექიმი მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს საავადმყოფოში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

კბილისა
ექიმი ნინო რცხილაძე.
გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.
იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმი ზ. ა. მიქელაძე 15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი მ. მუსხელიშვილი მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—$11^1/_2$ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

## ტფილისი, 22 იანვარი

**არა რუსთა სახალხო სკოლა და ოფიციოზი** სახალხო განათლების მოღვაწეთა კრების ეგრედ წოდებული „ინოროდცების" სექციის მოღვაწეობამ და მისმა რეზოლუციებმა რუსეთის საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა. ეს ადვილი ასახსნელიცაა. სექციაში მასწავლებელთა შორის გაისმა ხმა პროტესტისა რუსეთში გამეფებულ გამარუსებელი პოლიტიკის წინააღმდეგ. ეს ხმა დისონანსად შეიჭრა სახალხო განათლების სამინისტროს მოღვაწეობაში და, რა თქმა უნდა, ბუნებრივი გულის წყრომა უნდა გამოეწვია იმ წრეში, რომელიც ვალდებულად სთვლის თავის თავს ყოველ შემთხვევაში დაიცვას ხოლმე სამინისტრო. სწორედ ასე მოიქცა მთავრობის გაზეთი „როსსია".

რაღაცა მოსაზრების ძალით ოფიციოზი მხოლოდ უკრაინელებზე ლაპარაკობს, თითქოს ინოროდცები განსაკუთრებით უკრაინელებისაგან შესდგებოდნენ. მთავრობის გაზეთი მასხარად იგდებს უკრაინელთა ბუნებრივ მოთხოვნილებას, თითქოს მასხარობით და ხუმრობით შესაძლებელი იყოს იმ ფრიად დიდმნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა, რომელიც მასწავლებელთა კრებაზე აღიძრა და რომელსაც, ადრე თუ გვიან, სერიოზული ანგარიში უნდა გაუწიოს ოფიციალურმა რუსეთმაც კი. თვით ის მხიარული კილო, რომელსაც ცხადად ადევს ბეჭედი ნაძალადევი მხიარულებისა, ნათლად მოწმობს, რომ თვით ოფიციოზიც შეფიქრიანებულა და მოულოდნელად გულს დაწოლილი დარდები ხუმრობაში ჰსურს გადაატაროს.

ხუმრობას ხუმრობითვე უნდა გასცეს პასუხი იდამიანმა, მაგრამ მთავრობის გაზეთში არის ერთი ადგილი, რომელსაც სერიოზული მსჯელობის ბეჭედი აზის, მაგრამ ჩვენზე კი, იქნება სწორედ იმიტომაც, რომ იგი სერიოზული კილოთია დაწერილი, სასაცილო შთაბეჭდილებასა სტოვებს. ოფიციოზი აღნიშნავს, როგორის თვალით უცქერიან პროგრესისტები არა რუსთა სკოლებს, რანაირად წარმოუდგენიათ იგი, რასაკვირველია, სიმართლეს მოკლებულად მიაჩნია ეს სურათი და დასძენს:

„ეს ორი პეიზაჟი რაოდენადმე რომ ჰგავდეს იმას, რაც სინამდვილეში ჰხდება, ჩვენ ვიტყოდით: მართალია, ამ საგანზე შეიძლება დავაო". ასე რომ, ოფიციოზის სიტყვით, სახალხო სასწავლებელთა კრებაზე დახატული სურათი „ინოროდცების" სახალხო სკოლების მდგომარეობისა მართალი არ არის, თორემ... თორემ იქნება თვით ოფიციოზიც სხვა გუნებაზე დამდგარიყო და სახალხო სკოლებისთვის თავი გამოედო. ასე გამოდის. მაგრამ, ქართული ანდაზისა არ იყოს, ეს ფონი კარგია, ერთს ადგილას რომ არ ახრჩობდესო. ის, რაც მასწავლებელთა კრებაზე ითქვა, მკრთალი სურათია სინამდვილისა.

სინამდვილეში გარუსების პოლიტიკა, შეზღუდვა სამშობლო ენისა სკოლაში უფრო მეტის სიმძაფრით სწარმოებს და უკვე საანბანო ჭეშმარიტებად არის გადაქცეული ყველასთვის, ვისაც რაიმე კავშირი აქვს სახალხო სკოლასთან. კრებაზე გამოთქმული სიტყვები ღაღადია გატანჯული მასწავლებლისა, რომელსაც გულში ჩამარხული შეურაცყოფილი გრძნობა პედაგოგისა და ადამიანისა ეხლა საჯაროდ გააქვს, რათა საზოგადოებას მაინც გაუზიაროს თავისი დარდები. ამიტომ იყო სექციის კრებაზე ერთხმად რომ გამოსთქვამდნენ თანაგრძნობას იმ ორატორისადმი, რომელიც კი არარუსთა ბუნებრივ მოთხოვნილებებზე იწყებდა ლაპარაკს.

ოფიციოზი, ალბათ, ჰგრძნობს, რომ უბრალო პოლიტიკანობით ძნელია ახსნა ამ საყოველთაო თანაგრძნობისა და ცდილობს დააჯეროს მკითხველი, რომ ასაშფოთებელი არაფერია, რომ ორატორების მიერ დახატული სურათი სინამდვილეს არ შეეფერება და ნამდვილად სიკეთე და სათნოება ჰსუფევს „ინოროდცების" სკოლაში.

ნეტავი ვიცოდეთ, ვისთვისა ან რისთვისა სწერს ოფიციოზი? განა მოიძებნება თუნდაც ერთი ისეთი ადამიანი, რომელიც ინოროდცების სკოლის მდგომარეობას იცნობდეს და მაინც ამბობდეს, არარუსთა მდგომარეობა ისეთი არ არის, როგორც სექციაში დახატესო?

მაგრამ რას იზამთ, ალბად, ვალდებულება აიძულებს ოფიციოზს გამოესარჩლოს სამინისტროს, რომლის მოქმედებაც კრებაზე კრიტიკის ქარ-ცეცხლში იქმნა გატარებული.

## ქართული პრესა

გაზეთი „**ხმა კახეთისა**" აგვიწერს იმ საშინელს მდგომარეობას, რომელშიც იმყოფება ჩვენი ხალხი ყაჩაღების წყალობით და ამბობს:

„პატრონი არა ჰყავს ჩვენს ხალხს. ეს მდგომარეობა თუ გაგრძელდა, ჩვენი ქვეყანა განადგურდება, ჩვენი ახალგაზრდობა, აღზრდილი ამ სულის შემხუთავს მდგომარეობაში, სულ მთლად გადაგვარდება და სულ გამხეცდება.

ხალხი ჩუმად ღელავს, მაგრამ ვერაფერი ვერ გაუგია; ხალხი მთავრობას აბრალებს, მთავრობა ხალხს: ხალხი მფარველობას უწევს ყველა ბოროტ-მოქმედს, ტყუილ მოწმებად გამოდის ყველა მპარველს, კაცის მკვლელის და ჩვენ რა შეგვიძლიან გავაკეთოთო.

ხალხი მთავრობას აბრალებს: ჩვენ რო გავცეთ ვინმე და უმოწმოთ—ხვალ ხვალზევით ამავე ყაჩაღს გამოუშვებენ, ან მისი ამხანაგი დაგვეცემა და მთლად გაგვანადგურებს და ამიტომ გვირჩევნია ისევ ჩუმად ვიყვნეთო.

ჩვენის აზრით კი ორივე მხარე არის დამნაშავე, რადგანაც საჭირო ზომებს არ იღებენ, რომ მოსპონ ეს აუტანელი მდგომარეობა. გაზეთი რჩევას იძლევა, ზნეობრივი გავლენა ვიქონიოთ ყაჩაღებზე, ჩავაგონოთ, რომ ღუპავენ ხალხს.

და თუ მაინც განაგრძეს ავკაცობა—ჩვენც უარი ვსთქვათ მათს ძმობაზე, მათ ნათესაობაზე, მფარველი ხელი არავინ უნდა გაუწოდოთ, იგინი უნდა განდევნილ იყვნენ საზოგადოებიდან, ჩვენის ოჯახებიდან, ჩვენის სოფლებიდან.

ჩვენ უნდა ყოველი ზომა მივიღოთ მათ წინაღმდეგ, რათა მოუსპოთ ყოველგვარი სახსარი, რო ზარალი აღარავის მიაყენონ.

ისევე უნდა მოვექცეთ ყველა იმათ, ვინც მათ მფარველობას უწევს, სულ ერთია ნათესაობით თუ მოსყიდვით.

* *
*

„ბათუმის გაზეთს" მოჰყავს ცნობები მიწის საკუთრების შესახებ რუსეთში. გაზეთის სიტყვით,

„ეს ცნობები მჭევრმეტყველურად ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ დღევანდელ სოციალურ-ეკონომიურ პირობებში თ.-აზნაურულ წოდებას თანდათან ხელიდან ეცლება ადგილ-მამული. ის ჰკარგავს იმას, რაც შეადგენდა საუკუნეთა განმავლობაში მის ეკონომიურ და პოლიტიკურ ძლიერების საფუძველს.

1907 წ. გასასყიდად გამოცხადებულა სულ 4.279.685 დესეტინა მიწა; აქედან 2.505.060 დეს., ე. ი. 55,5 პროც. თავად-აზნაურობისა ყოფილა. ამ წლიწადში მას ნახევარი მილიონი დეს. მეტი გაუყიდია, ვინემ მთელი ათი წლის (1894—1903 წ.წ.) განმავლობაში. გლეხთა განთავისუფლების დროს თავად-აზნაურობას ჰქონდა 87 მილიონ დესეტინაზე მეტი. 1907 წ. ბოლოს მას შერჩენია 48 მილიონი დესეტინა. ამ ნაირად 45 წლის განმავლობაში „ბრწყინვალე" წოდებას გამოეცალა ხელიდან 35 მილიონი დესეტინა. აქედან გლეხებს შეუძენიათ 20 ნახ. მილიონი დესეტინა, ხოლო დანარჩენი გადასულა ვაჭრების საზოგადოებათა და ბანკების ხელში.

თ.-აზნაურული მიწათ-მფლობელობა თანდათან კლებულობს და იშლება. სამაგიეროდ იზრდება და მტკიცდება ბურჟუაზიული და გლეხური მიწათ-მფლობელობა. დეზორგანიზაცია ფეოდალურ საკუთრების ფორმებისა და ორგანიზაცია წვრილ-გლეხური და კაპიტალისტური ბურჟუაზიის საკუთრების ფორმებისა—ეს ორი მხარეა ერთისა და იმავე პროცესის. ეს არის პროცესი რუსეთის ეკონომიური განვითარებისა".

რასაკვირველია, ასეთი პროცესი ხდება დღეს ჩვენშიც. ხოლო ამ პროცესს ჩვენში თან ჰყვება განსაკუთრებული საკითხი—საკითხი ტერიტორიის შესახებ. ბუნებრივს ეკონომიურს პროცესს ჩაექსოვა ეროვნული ინტერესი იმდენად, რამდენად ქართველ თავად-აზნაურობის მამული გადადის არა ქართველ კაპიტალისტების ხელში.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზეთი „რუს. ვედ." მეთაურს უძღვნის რუსეთის სატუსაღოებს და აღნიშნავს მათს დღევანდელს კრიკრიტიკულს მდგომარეობას. ეს კრიზისი გამოწვეულია მით, რომ ტუსაღებისთვის აღარაა საკმაო ადგილი სატუსაღოებში.

„1907 წელს რუსეთის სატუსაღოებში იყო ყოველ დღე ორთაშუა 138501 ადამიანი; 1908 წელს ეს რიცხვი ავიდა 171219-მდე, 1909 წ. 175008, 1910 წ. შემცირდა 171864 მდე, ხოლო შემდეგ კვლავ იმატა და 1911 წ. იყო 178700, 1912 წ.—187073 და 1913 წ.—194410 1914 წლისთვის იუსტიციის სამინისტროს მიერ ეს რიცხვი ნავარაუდევია 210 ათასამდე".

ყველა სატუსაღოში ტუსაღების რიცხვი 5—6 ჯერ მეტია ნორმალურ რიცხვზე. სატუსაღოთა სივიწროვეს უნდა მივაწეროთ ის გარემოება, რომ სამინისტრო ასე ადვილად შეურიგდა ტუსაღების ვადამდე პირობით განთავისუფლების კანონს და წინასწარი დატუსაღების დროის სასჯელის ვადაში ჩათვლას, მაგრამ ამ კანონებმა არ გაამართლეს სამინისტროს იმედები და ოდნავად არ შეამცირეს სატუსაღოების მცხოვრებთა რიცხვი. ამიტომ სამინისტრო შეუდგა ახალი ციხეების აშენებას. მდგომარე წელს განზრახულ აქვთ ააგონ შვიდი ახალი სატუსაღო, რის გამო სამინისტროს ხარჯი წელს ნაანგარიშევია $5^1/_2$ მილ. მეტად შარშანდელზე.

„ამგვარად სამინისტრომ ახლო მომავალში მაინც თავიდან მოიშორა მოახლოვებული კრიზისი. მაგრამ ნამდვილად გადაწყდება სააღმშენებლო გეგმით რუსული სატუსაღოების კრიზისი?".

გაზეთს ეს ძლიერ საეჭვოდ მიაჩნია, და ჩვენც არ შეგვიძლია არ დავეთანხმოთ. საჭიროა სატუსაღოების სისტემის ძირითადი გარდაქმნა, საჭიროა საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესობა, საჭიროა პოლიტიკური წესწყობილების შეცვლა და არა ახალი ციხების აშენება. მაგრამ დღევანდელი მთავრობის ყურადღება, რასაკვირველია, აქეთკენ არ აა მიქცეული.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **ერობის შესახებ.** ქუთაისში საგუბერნიო მარშლის მეთაურობით სხვა და სხვა წრის წარმომადგენლების თათბირი გაიმართა ჩვენი ქვეყნის რეფორმების შესახებ. თათბირზე გადაწყდა, რომ საგანგებო დეპუტაცია გაიგზავნოს ტფილისში გუბერნიის მარშალთან, რომ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურობამ ერთად იშუამდგომლონ ერობისა და სხვა რეფორმების შემოღების შესახებ საქართველოში.

✦ ავლაბრის სახალხო წარმოდგენების მმართველ წრეს ქალაქის საბჭომ შემწეობად 150 მან. დაუნიშნა და ეს ფული შეიტანა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვაში.

✦ 20 იანვარს, პირველ საპ. უბ. ახალშენში გიგო შაუმიანის სახლში მივიდა იულია რაჟ. ასული გოგორაშვილი 9 წლის რძის სასყიდლად, ეცა გააფთრებული ძაღლი თავპირში და ძლივს მოაშორეს. ბავშვს მთელი სახე დასახიჩრებული აქვს. იგი მიხეილის საავადმყოფოში დახმარების აღმოსაჩენად წაიყვანეს.

✦ **ნ. ფ. რუდოლფი.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ტფილისს დაბრუნდა.

✦ **საპრემიო თხზულებანი**, თ-დ დადიანის პრემიის მისაღებად სვ. ქვარიანმა ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოებას წარმოუდგინა ორი თავისი თხზულება: „საქართველოს მოკლე ისტორია" და „ქართველ ერის ტრაგედია" (გ. სააკაძე და მისი დრო).

✦ **ქალაქის საბჭომ**, თანახმად სარეკომენდაციო წინადადებისა, **სასკოლო კომისიის წევრებად** აირჩია შემდეგი ხმოსნები: ი. ს. ალიხანოვი, ს. გ. ალდაბანოვი, შ. ვ. ალექსი-მესხიშვილი, ი. ა. ვექილოვი, თ-დი ა. ა. ვაჩნაძე, ს. ა. გალსტიანი, ლ. გ. ევანგულოვი ზ. ნ. ზორიანი, რ. ა. იონისიანი, მ. ზ. ქანანოვი, მღვდელი მიხაილოვსკი, ე. ა. უტეშევი, ა. რ. ფიშერი, ს. თ. ხუნდაძე და ს. თ. ქრელაშვილი. **საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის** წევრებად აირჩია: ა. ს. ბაღდასაროვი, მ. ა. ჯაბარი, ი. მ. დოლუხანოვი, დ. ი. ყორღანოვი, ს. გ. მაზმანოვი, ს. ქ. სულხანიშვი, ა. მ. ტერტეროვი, ა. რ. ფიშერი, ი. ნ. ხუნუნცი და ს. თ. ქრელაშვილი. **სარევიზიო კომისიის** წევრებად აირჩია: შ. ვ. ალექსი-მესხიშვილი, თ-დი ლ. ა. ვაჩნაძე, ლ. გ. ევანგულოვი, გ. ზ. ქანანოვი, გ. ნ. კეილი, ს. გ. მაზმანოვი, მ. ი. მარტიროსიანცი, ს. მ. ნუნუფაროვი, ბ. ა. პოპოვი, ი. ა. თამამშევი, ა. გ. ტერტეროვი, ნ. ლ. ხარაზიანი, ი. ნ. ხუნუნცი და ს. თ. ქრელაშვილი. მათ კანდიდატებად: ხმოსნები სულხანოვი და თოიძე.

✦ **ხორცის ნიხრი.** ქალაქის საბჭომ ქალაქის გამგეობის წინადადების თანახმად 20 იანვარს დაადგინა, ხორცის ნიხრს ორი კაპეიკი მოუმატოს. გუშინ ქალაქის გამგეობამ ახალი ნიხრი გუბერნატორს დასამტკიცებლად გაუგზავნა.

ქალაქის საბჭომ სამეურნეო კომისიას დაავალა, შეადგინოს მოხსენება ხორცის ნიხრის სრულიად გაუქმების შესახებ.

✦ **ქუნთრუშა.** ამ ჟამად ტფილისში ქუნთრუშა მეტად მძვინვარებს. ქალაქის საბჭომ 3,700 მან. გადასდო ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად.

✦ **ქ. შ. წ.-კ. საზოგ. სასკოლო სექციის მოქმედების გეგმა.** 20 იანვარს კრება ჰქონდა ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების სასკოლო სექციის თავის მოქმედების გეგმის შესამუშავებლად. სექციამ დაადგინა: 1) 1914 წლის განმავლობაში სკოლების მეთვალყურეს რამდენჯერმე დაათვალიერებინოს სკოლები, გაითვალისწინოს ყოველგვარი ნაკლი სკოლებისა და შეეცადოს სკოლების საქმეების გაუმჯობესებას, 2) მიაწოდოს სკოლებს სწავლაში საჭირო ხელსაწყო ნივთები და დაუკვეთოს ჟურნალ-გაზეთები („ნაკადული", „ჯეჯილი", „განათლება") 3) შეუდგეს თადარიგს და მიიღოს ღონისძიებანი, რათა, თანახმად განსვენებულ იაკობ გოგებაშვილის ანდერძისა, გახსნილ იქმნას სკოლა ს. ვარიანში, 4) სექციას აზრად აქვს, ამ წელში დააკმაყოფილოს, დაბა ნალჩიკის (ჩრდილო კავკასია) ქართველების თხოვნა სკოლის დაარსების შესახებ, 5) სექციას საჭიროდ მიაჩნია, სასურველ პირობებში გახსნას სკოლები თავდაპირველად ისეთს ადგილებში, სადაც უფრო საჭიროა ქართული სკოლა, მაგალითად: ბათუმის ოლქსა, მესხეთსა, ზუგდიდის მაზრასა, საინგილოსა, ბორჩალოს მაზრაში და სხვაგან, 6) სექციას საჭიროდ მიაჩნია, შეაკეთებინოს და, სადაც შესაძლებელია, გააფართოვებინოს სკოლის შენობები, ხოლო გურამიანთ კარში და დიდ გომარეთში იზრუნოს ახალ სასკოლო შენობების აგებისათვის, 7) სასკოლო სექციას საჭიროდ მიაჩნია, გამართოს წელს საზოგადოების სკოლების მასწავლებელთა შეერთებული კრება შეერთებულ მოქმედების გეგმისა და საერთო სასკოლო პროგრამის შესამუშავებლად და სხვა და სასკოლო საკითხების გამოსარკვევად, 8) სექცია აირჩევს და გამოსაცემად დაამზადებს სხვა და სხვა საგნის შესასწავლად საჭირო სახელმძღვანელოს და სწავლაში ხელსაწყო ნივთებს: მოძრავ ასოებს, საყმაწვილო წიგნების კატალოგს, ელემენტარულ გეომეტრიისა და ბუნების მეტყველების შესასწავლ წიგნებს, საქართველოს რუკას და სხვ., 9) სასკოლო სექცია განსვენებულ იაკობ გოგებაშვილის ნაანდერძევ სახელმძღვანელო წიგნებში, განსვენებულის ავტორის ანდერძის მიხედვით, შეიტანს სასურველ შესწორებას და წარუდგენს გამგეობას დასამტკიცებლად. ამ წელში სექციას აზრად აქვს, ასეთი შესწორება შეიტანოს „რუსსკოე სლოვო"-ს პირველ ნაწილში და 10) სასკოლო სექციას თავის მოვალეობის ერთ მთავარ საგნად მიაჩნია, მუდამ ჰქონდეს გამოულეველი, მოთხოვნილების კვალობაზე საკმაო რიცხვი იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებისა: „დედა ენა" ორივე ნაწილი, „ბუნების კარი" და „რუსსკოე სლოვო".

### საზოგადოებანი და კრებები

✦ **სახლის პატრონთა და მდგმურთა საზოგადოებამ** ამ დღეებში 50.000 მან. ქსენიევისა და ელისაბედის ქუჩის კუთხეში ვეტცელის მემკვიდრეთაგან მიწა შეიძინა, სადაც ოთხ სართულიან სახლის აგებას აპირობს. სახლი ვარაუდით 150,000 მან. დაჯდება.

### სასწავლებლებში

✦ ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ საზოგადოების სკოლების მასწავლებლებს დაუგზავნა ბარათები, რომლითაც სთხოვს, წარმოუდგინონ ვრცელი პროგრამები განვლილ მასალებისა მიმდინარე სამოსწავლო წელში და მომავალი სამოქმედო გეგმა.

✦ ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების ატენის სკოლის მასწავლებლად სახალხო სკოლების დირექტორმა დაამტკიცა ლავრენტი ბარნაბაშვილი.

### სასამართლო

✦ **წითელი თოთხის საქმე**, რომლის გამოც სამართალშია მიცემული „რუსსკოე ზნამია"-ს რედაქტორი დუბროვინი, დანიშნული იყო 27 იანვრისთვის. დუბროვინის თხოვნით ამ საქმის გარჩევა სხვა დროისთვის გადაიდო.

### ქუთაისი

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისგან ქალაქის საბჭომ მიიღო ცნობა, რომ ამ ჟამად განზრახულია რამდენიმე საშუალო სასწავლებლის გახსნა კავკასიის სხვადასხვა ადგილას. სასწავლებლები გაიხსნება 1915 წლ. 1924 წლამდი. ერთერთს შესაფერ ადგილად, სადაც მეორე რეალური სასწავლებლის გახსნაა სასურველი, ქუთაისია აღნიშნული. ხსენებულ სასწავლებელს ესაჭიროება ხარჯები: 1) ბინის დასაქირავებლად, 2) შესანახად, 3) მოსაწყობად, 4) საკუთარი შენობის ასაგებად. თუ საკუთარი ბინა არ იქნება, საჭიროა ბინის დაქირავება და საკუთარი შენობისთვის ადგილის შეძენა, განზრახული რეალური სასწავლებლის შესანახად ქუთაისში საჭიროა წლიურად 134,075 მანეთი. ერთდროულ მოსაწყობად—20,000 მანეთი და შენობის ასაგებად—170,000 მან., რაც მეტი იქნება შეწირულობა ადგილობრივი საზოგადოების მხრით სასწავლებლის დასაარსებლად, მით უფრო დაჩქარდება სასწავლებლის გახსნა.

ოლქის მზრუნველი სთხოვს ქალაქის საბჭოს, რათა ამ უკანასკნელმა შეატყობინოს მას, თუ იგი რამდენ ხარჯს იკისრებს და ყოველივე ცნობა წარუდგინოს არა უგვიანეს 1 თებერვლისა.

✦ ახალი სააქციონერო ბანკის აქციები საორგანიზაციო კომიტეტის გუშინდელ კრებაზე შეუძენია კიდევ ვაჭრებს 60,000 მან. როგორც სჩანს, ქუთათური ვაჭრები ალოს ახლა იღებენ თავისი ინტერესების და საქმეების გასაღონიერებლად. ეტყობათ, იგნებენ, რომ ასეთი ბანკის საშუალებით შექმნიან მძლავრ ძალას ჩვენში ვაჭრობა-მრეწველობის ასაღორძინებლად.

### გორი.

✦ ამ ჟამად დიდი მითქმა-მოთქმაა მცხოვრებთა შორის იმ დავის გამო, რომელიცაა გამართული ნ. თუმანიშვილისა და ქალაქის გამგეობის შორის, როგორც მოგეხსენებათ, ელექტრონის შუქს აძლევს ქალაქს ამხანაგობა „ამპერი", რომლის მთავარი მონაწილე თუმანიშვილია. 1912 წლიდან დღემდე დიდი „ნედოიმკა". დასდებია ქალაქს ელექტრონის შუქისა—18,000 მან. აი, სწორედ ამ ფულს სთხოვს ქალაქის გამგეობას თუმანიშვილი. ქალაქის გამგეობა თავის მხრით პოლიციის საშუალებით ახდევინებს მცხოვრებთ დარჩენილ გადასახადს. ამბობენ, თუ ქალაქი დროზე არ გადაუხდის 18,000 მან. თუმანიშვილს, ეს უკანასკნელი ქალაქს შუქს აღარ მისცემსო. ამისა თუ სხვა რამ მიზეზის გამო ეს ორი ღამეა ქალაქი უკუნეთით არის მოცული. უიმისოდაც მოუწესრიგებელ ქუჩებში გავლა შეუძლებელი ხდება. მცხოვრებნი დიდ შეწუხებას განიცდიან...

✦ ქალაქის გამგეობამ პირველ იანვრიდან **გადასახადი შემოიღო ძაღლებზე.** უბრალო ჯიშის ძაღლზე დაწესებულია ათი შაური წელიწადში, ხოლო მონადირე ძაღლზე მანეთ-ნახევარი. გადასახადი უნდა შეტანილ იქმნას 15 თებერვლამდე.

✦ 14 იანვარს გამართულ წარმოდგენიდან ქართველ ქალთა წრეს „**მანდილოსანს**" წმინდა შემოსავალი დარჩა 22 თუმნამდე.

### თელავი

✦ ყვარელში, 14 თებერვალს წ.-კ. საზოგადოების განყოფილება თავის სკოლის სასარგებლოდ ჰმართავს მეჯლის-მასკარადს. მზადებას ეხლავე შეუდგნენ.

## განსაკუთრებული აზრები

### ვ. გელოვანის და ივ. გეგეჭკორის საქმის შესახებ.

სოც. დემოკრატიულ ფრაქციამ, სხვათა შორის, ასეთი კითხვა დაუყენა სამედიატორო სასამართლოს: ჰქონდა თუ არა გელოვანს უფლება დაებრალებინა ს. დემოკრატებისათვის, რომ მათ ცილი დასწამეს კ. აბაშიძეს, ვითომც მან გაჰქურდა ქართულის ბანკი და სხ.—სასამართლომ სამის ხმით წინააღმდეგ ორისა უყურადღებოდ დასტოვა ეს საგანი, როგორც უმნიშვნელო, ხოლო სასამართლოს წევრებმა მ. ბერენშტამმა და ვ. ვოდოვოზოვმა ასეთი აზრი დაურთეს განაჩენს ამის შესახებ:

„თუმცა გელოვანმა მთლად სინამდვილით არ მოიყვანა „დენში“ დასტამბულ წერილში სოციალ-დემოკრატიული სტატიის შინაარსი კ. აბაშიძის წინააღმდეგ, ვითომცა მ სტატიაში ნათქვამი ყოფილიყოს, აბაშიძემ ბანკი გაჰქურდაო, მაშინ, როდესაც სტატიაში ნათქვამია მხოლოდ ის, რომ აბაშიძე „არიგებდა ფულებს „ნათლიმამობით“, რის გამო ბანკმა 100 ათასი იზარალა, რომელიც უნდა დაჰფარონ ბანკის წევრებმა“ და ამისთვის უკვე გამოძიებაა დანიშნული; და თუმცა გელოვანმა არ მოიხსენია ისიც, რომ ხსენებულ სტატიაში ნაჩვენებია წყარო ცნობისა—ვლ. მიქელაძის წერილი,—ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამგვარი შეცდომა არ ჩაეთვლება გელოვანს დანაშაულად, ვინაიდგან მას არ შეუცვლია, ზეპირად მოყვანილი, აზრი სოც. დემოკრატიული გაზეთისა. გარდა ამისა, ჩვენის აზრით, ვლ. მიქელაძის აზრების ამოკრეფა ფაქტების შეუმოწმებლად (რაიც ადვილი იყო) და ზედ მიმატება ისეთის გადაჭრილის და გარკვეულის სიტყვებისა, როგორიცაა: „კოტამ ეს არ უარჰყო, მაშ ეს ნამდვილი ამბავია“, და ზნეობრივი დაფასება აბაშიძის პიროვნებისა, რომ „ვითომც მისი არჩევა სამარცხვინო იქნებოდა საქართველოსთვის“, — ყოველივე ეს სრულიად [illegible]ბელია [illegible] კეთილსინდისიერი ორგანოსათვის“.

უკანასკნელის მუხლის საზოგადოდ დასკვნისთვის ბერენშტამს და ვოდოვოზოვს საუკეთესოდ მიაჩნიათ ამგვარი რედაქცია:

„მივიღეთ რა მხედველობაში: ა) რომ ამომრჩევლების რიცხვი და მათი განაწილება პარტიებს შორის (18 გელოვანის მომხრე და არა 17; 15 მისი წინააღმდეგი, რომელთაგან მხოლოდ 12 იყო აშკარა მომხრე ს. დემ. კანდიდატისა, ხოლო სამი იყო უპარტიო და შესაძლებელია ისევ წინააღმდეგნი ყოფილიყვნენ ს. დემოკრატებისა, როგორც იყვნენ ს. ფედერალისტების) არ გვაძლევს გარკვეულს საბუთს იმის გადასაწყვეტად, თუ როგორი იქნებოდა არჩევნების შედეგი, ხუთი ს. დემოკრატი რომ არ გამოერიცხა ადმინისტრაციას, ბ) რომ ს. ფედერალისტებს არჩევნების დროს არ ჩაუდენიათ არა სწორი (უმართებულო) მოქმედება (საქციელი), — სასამართლო აღიარებს, რომ გელოვანის არჩევა არის სწორი (მართებული)“.

თოფურიძის შესახებ ბერენშტამი და ვოდოვოზოვი სწერენ: „ჩვენის აზრით ს.ფედერალისტების პარტია არაა პასუხისმგებელი იმისთვის, რომ მისი წევრები ბლოკით შეუერთდნენ პროგრესისტებს და ხმა მისცეს მათ კანდიდატს თოფურიძეს, თუმცა უკანასკნელმა, როგორც საარჩევნო კრების თავმჯდომარემ, ჩაიდინა საქციელი, რომელიც დემოკრატიული პარტიის თვალთსაზრისით არაა სწორი (მართებული)“.

ბოკერიას და თელიას შესახებ ბერენშტამმა და ვოდოვოზოვმა შემდეგი აზრი წარადგინეს:

„ჩვენის აზრით, ბოკერია და თელია არ იყვნენ იმდენად დაახლოვებულნი ს. ფედერალისტების პარტიასთან, რომ უკანასკნელმა პასუხი აგოს მათის მოქმედებისთვის“.

ჩიჩუას არჩევის გასაჩივრების შესახებ ვოდოვოზოვი სწერს: ა) „თუ ნამდვილია გეგეჭკორის განცხადება, რომ საჩივრის შინაარსი იყო ჩიჩუას უმართებულოდ წვრილ მესაკუთრეთა სიაში შეტანა მაშინ, როდესაც იგი მსხვილი მიწის მფლობელი იყო, ასეთი საჩივარი შეუფერებელია, ვინაიდგან მისი მიზანი იყო ჩაშლა უკვე მომხდარ არჩევნებისა, რომლებზედაც აირჩიეს პროგრესიული კანდიდატი“. ბ) „თუ საჩივრის განზრახვა იყო იმის აღნიშვნა, რომ ჩიჩუას სასამართლომ 1886 წელს ღირსება ჩამოცალა, ასეთი საჩივარიც შეუფერებელია, ვინაიდგან ჩიჩუას გასამართლების შემდეგ გავიდა 26 წელიწადი. როგორც ეტყობა, ქართველი საზოგადოების პროგრესიული წრეების საზოგადოებრივი აზრი აღიარებდა, რომ ჩიჩუას დანაშაული იყო სისხლის სამართლის და არა პოლიტიკურის ხასიათისა, რომელიც უკვე გამოისყიდა თავის შემდეგის ცხოვრებით“.

## ფოთლები

7

### სანდრო ყაზბეგი.

შარშან წინ სექტემბერში ორი დღით გორში მომიხდა ყოფნა; მაშინ პირველად ვნახე ჩვენი ცნობილი მწერალი ნიკო ლომაური; ბავშვობაში „ქაჯანათი“ ვიყავ გატაცებული და მისი ავტორის გაცნობა საამოდ დამირჩა ფრიად.

მაგრამ ასთან ერთად სხვა რაიმეც განვიცადე: აქ პირველად ვისმინე ნამდვილი ქართული; ასეთი ქართული, ნელი და ტკბილი, სურათოვანი და სმენამათრობელი, ჩემს სიცოცხლეში არა მსმენია; განსაკუთრებით მომაჯადოვებელია კილო ნიკო ლომაურის მოთხრობისა; ჭეშმარიტად, „ქაჯანას“ ავტორს უნდა ებაასო, რომ იგემო სიტკბო ქართული ენისა.

ბევრი-რამ მიამბო ქართული ლიტერატურის შესახებ, მნიშვნელოვანი და გულისხმიერი; ხოლო მისი ნათქვამიდან ერთი სურათი წაუშლელი დარჩება ჩემს ხსოვნაში; ეს ის მადლიანი ხაზმოსმაა, რომლითაც მან, ნამდვილმა ხელოვანმა, სანდრო ყაზბეგის ტანჯული სული გადმოშალა.

წარმოიდგინე, მკითხველო: შეშლილთა სახლი, შიგ სანდრო ავადმყოფი, სანდროს მნახველნი, რომელთა შორის ნიკო ლომაურიცაა; მნახველებმა სანდროს ერთი მისი წიგნი მიუტანეს; სანდრო ფურცლავს წიგნს, დაჰსცქერის უცნაურად, ბოლოს ერთს ფურცელზე შეჩერდება, თითქო რაღაცას ამოიკითხავს, გულს მიიხუტებს უცბად წიგნს და მნახველთა ცოტა მწყრალი მაცქერალი ხელს აქნევს მეორეს, თითქო მათ ეუბნება, ამ წიგნს აღარ დაგანებებთო.

ვიმეორებ: ეს წამი არასოდეს დამავიწყდება.

გარნა ნიკო ლომაურმა სხვა სურათიც დამიხატა, ახლა კი ყაზბეგის არაშეშლილ სიცოცხლიდან, რომლითაც ჩემთვის ფარდა ეხსნა ყაზბეგის მხატვრული შემოქმედების საიდუმლოს.

ყაზბეგის ხელოვნებაში ერთი-რამ მაკვირვებდა ყოველთვის, სახელდობ: ძლიერი ლიტერატურული ფანტაზია; ჩვენი პოეზია ეროსის მხრით სუსტია ძალზე; მრავალი ქართველი მწერალი ეხება ეროტულ ვნებას, მრავალ სახესა დ სიტყვას ხარჯავს მისი წებო-ქსელის დასახატად, მაგრამ მათ მიერ შექმნილი ეროტი ფრთებ-ჩამოყრილია და ვნება-მშრალი; ყაზბეგი კი ეროტულ ვნების ასახვაში ის ძლევამოსილი ხელოვანია, რომელმაც არ იცის, თუ რა არის სიძნელე და დაბრკოლება; იგი ერთი ღვთიური ხაზმოსმით ცოცხლად ჰქმნის ეროსის ცხელ სიტკბოს და ბნედამორეულ თრობას.

როგორი ფანტაზია უნდა ჰქონდეს ასეთს მწერალს? ჩემს ესკიზებში (შემოქმედების შესახებ) მრავალჯერ მაქვს გამოთქმული ის აზრი, რომ ის მგოსანი, რომელიც ცოცხალ სინამდვილესა ჰქმნის და არა სქემატურ ალლეგორიას, ის მგოსანი „თვალღია სიზმარს“ ხედავს უთუოდ; და სწორედ ეს „თვალღია სიზმარია“ დამახასიათებელი სანდრო ყაზბეგის ფანტაზიისა.

აბა დაუგდეთ ყური ნიკო ლომაურის ნათქვამს:

სანდრო (არა-შეშლილი) ნიკოსთანაა გორში სტუმრად; საუბრობს დინჯად და თან კიდეც მხიარულობს; უეცრად სახეს იცვლის, იქით-აქეთ იცქირება, ვიღაც ლანდებთან იწყებს ლაპარაკს; გაკვირვებული ნიკო ეკითხება: რა გემართება, სანდრო?—არაფერი, ჩემი გმირები მოლანდნენ და მათთან ვსაუბრობდით.

აი, ნამდვილი ფანტაზია ძლევამოსილი ხელოვანისა.

გრ. რობაქიძე.

## ნინოობა თელავში

14 იანვარი, წმ. ნინოობა (როგორც 1 მაისი თამარობა) სულ სხვა დღეებია საერთოდ ქართველებისათვის და კერძოდ ჩვენი ქალებისათვის. ეს დღეები მათ ეკუთვნით, ამ დღეებით მათ შეუძლიანთ თამამად იამაყონ და ამისთვის ჰმართებთ შინაარსიან-მნიშვნელოვანად მისი დღესასწაული.

წმ. ნინოობის ღირსეულად დღესასწაული განა თელაველ ქართველ ქალებსაც არ შეეძლოთ, რომ ისინი ერთად შეერთებას და ძალთა განწყობილებას არ გაურბოდნენ და რაიმე ერთეულს რომ წარმოადგენდნენ, მაგრამ ჩვენდა სავალალოდ მათ შორის დღეს ამას ვერ ვხედავთ და ამისათვის სათითაოდ განცალკევებულთ ეს დიადი დღესასწაული მარტოდ-მარტო დარბაზობით, წვეულებით და ლოტოებით აღნიშნეს.

ამ დღეს ისევ ადგილობრივი წმ. ნინოს სასწავლებელი იქცევს ყურადღებას, რომელიც ბრწყინვალედ დღესასწაულობს ღირსი ქალწულის ხსენებას.

როგორც ყოველთვის, წარსულ 14 იანვარსაც წმ. ნინოს სასწავლებელში გაიმართა აქტი ლიტერატურულ-მუსიკალური განყოფილებით. უკვე 11 საათზე სამეუფეო ფართო დარბაზში იმდენ მიწვეულ სტუმართ მოეყარათ თავი, რომ ქედვა აღარ იყო. გარდახდილ იქმნა პარაკლისი, რომლის შემდეგ მოწაფე ქალები მკვირცხლად და შესაფერი ხმის შეწყობით კითხულობდნენ ლექსებს რუსულ, ქართულ, ფრანგულ და სომხურ ენაზე, გუნდი მწყობრად ასრულებდა რუსულ-ქართულ სიმღერებს, მხოლოდ როიალზე თავისუფლად უკრავდნენ სხვა და სხვა ნომრებს. საერთოდ ყველა ეს კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა დამსწრე საზოგადოებაზე. დასასრულ საუკეთესო მოსწავლეთ დაურიგეს საჩუქრები და ქების ფურცლები.

ამავე დღეს საღამოთი წ. კ. საზ. თელავის განყოფილების და სამრევლო სკოლების მეგირდებს გაუმართეს შობის ხე. ძალიან კარგად მოიქცნენ მასწავლებელნი, რომ სწორედ წმ. ნინოობას გაუმართეს დღესასწაული.

წ. კ. სკოლაში შობის ხეს წინ უძღოდა საყმაწვილო წარმოდგენაც, შემდეგ შეგირდები ლექსებს კითხულობდნენ და მღეროდნენ კიდეც. იშვიათად ხვდებათ ასეთ ღარიბ მოწაფეთ ასეთი დღესასწაული და აკი იშვიათი იყო იმათი მხიარულებაც. 8 საათამდე ითამაშეს, იმხიარულეს, მერე დაურიგეს ყველას ხილი და ნასიამოვნები დაიშალნენ.

დასწრებული.

## ნინოობა მოსკოვში

14 იანვარს მოსკოვის ქართველობა არა ჩვეულებრივ მოელოდა. ეს დღე ხომ ყოველი ნამდვილი ქართველისათვის დიდი დღეა! ჩვენც გვინდოდა ერთად შევკრებილიყავით და ერთად გაგვეტარებინა დრო. საღამოს 10 საათზე, დანიშნულ დარბაზში, ხალხი უკვე ბლომად იყო შეკრებილი. სტუდენტობას რაღაც აწუხებდა, რაღაც უსიამოვნება ეტყობოდა. გაგოთ, რომ რამდენიმე არა მკითხე ყმაწვილს, ქართველი საზოგადოების სახელით გამოეცხადებინათ ადგილობრივ გაზეთებში 14 იანვარს დილით წირვა იქნება გადახდილიო, თუმცა მათთვის არავის დაუვალებია წირვა გადაეხადათ. მაგრამ, მრცხვენიან, მკითხველო, ვსთქვა მისი სახელი ვისთვის ეწირვინებიათ—ი. ვოსტორგოვისათვის, იმ ვოსტორგოვისთვის, რომელსაც მოსამზადებელი განყოფილების მოწაფეც კი კარგად იცნობს. და იმ ადამიანს, რომელიც ქართველების სისხლს ამრობდა „მშვენიერი“ გალესილი სიტყვა ეთქვა ქართველებზე, რომელშიც, თურმე, ძლიერ აქებდა ქართველებს, და რამდენიმე ასამაღლებელი ქართულადაც ეთქვა. აი, თუ გნებავთ პოლიტიკოსობა! ნეტა მაცოდინა, რამ აიძულა ვოსტორგოვი ამისთანა გულკეთილობისათვის ქართველებისადმი?! ამ ყმაწვილებს კი ვერ შეუგნიათ, რა ლამაზი საქციელი ჩაიდინეს და კიდევ თავსაც იმართლებდნენ, ჩვენ ვოსტორგოვი ისე კი არ მოვიწვიეთ, როგორც კაცი, ისე როგორც სამღვდელო პირიო. რას დაუძახებთ, მკითხველო, ამ საქციელს?! ვოსტორგოვი, როგორც მღვდელი მოიწვიეს წირვის გადასახდელად და ისიც წმ. ნინოს დღეს. ამ ამბით აღშფოთებულმა სტუდენტობამ მოითხოვა საზოგადოებიდან გასულიყვნენ არა მკითხე პირნი, რის შემდეგაც მათ დასტოვეს დარბაზი.

11 საათზე ყველანი შეიკრიბნენ და დასხდნენ სავახშმოდ. აქ იყო თ. ალ. ივ. სუმბათაშვილი, ალ. ნიკ. ვახვახიშვილი, ივ. ნიკ. თულაშვილი და თითქმის, ყველა ქართველობა. პირველად ბ. ჯავახიშვილმა სთქვა სიტყვა. სიტყვები ბლომად იყო ნათქვამი და ყველა სიტყვა, თითქმის, სტუდენტობისადმი იყო მიმართული, რომელთაც ვალად აქვთ საქართველოს მომავლის გაუმჯობესება. საყურადღებო იყო ალ. ივ. სუმბათაშვილის სიტყვა, (სიტყვის პირველი ნახევარი ქართულად სთქვა), რომლითაც დაახასიათა მესამოცე წლები, მისი მოღვაწენი ჩვენში და რუსეთში, სთქვა, თუ როგორი განხეთქილება იყო მაშინ ქართველობაში, რომ შვილი მამას ვერ ენდობოდა და მამა-შვილს. შემდეგ უსურვა ახალგაზრდობას ერთი სულით და ერთი გულით აღჭურვა საქართველოს კეთილდღეობისათვის. აღსანიშნავია სიტყვა ქ-ნ ს. დ. თარხან-მოურავოვისა, რომელიც დაახლოვებით ასეთი იყო: მაშინ, როდესაც ჩვენ აქ ვმხიარულობთ და დროს ვატარებთ, სთქვა მან, ჩვენს სამშობლოში სულ სხვა ამბავი ხდებაო, იქ იყიდება სახლი იმ დიდბუნებოვანი ადამიანისა, რომლის სახელითაც ვამაყობთო. ის სახლი, რომელშიაც ილია ჰფიქრობდა და აზროვნებდაო, და ბოლოს დასძინა: არა, ქართველობა ამას არ იზამს, რომ ილიას სახლი საჯაროდ გაიყიდოსო. შემდეგ მიჰმართა საზოგადოებას, ჩვენც ჩვენი წვლილი გამოვიღოთ და შეუერთდეთ მთელს ქართველობას ილიას სახლის გამოსასყიდადო.

საზოგადოებამ ილიას სახელს ფეხზედ ადგომით სცა პატივი. ქ-ნ თ. მოურავოვისა კი მადლობის გადახდით დააჯილდოვა. აქვე შეაგროვეს 30 მ. და შემდეგ დაჰპირდა ბ. ივ. ნ. თულაშვილი, რომ შეჰკრეფენ კიდევ და დანიშნულებისამებრ გაგზავნიან შეგროვილ ფულს. ვახშმის შემდეგ კიდევ დიდი ხანი ველაპარაკეთ ალ. ივ. სუმბათაშვილს და მერე წავედით სახლში.

ფ. ხ—ძე.

## ფრინველების ჭირი

სამ წელიწადზე მეტია, რაც გორის მაზრაში — განსაკუთრებით ს. კასპის ახლო-მახლო სოფლებში და ქსნის ხეობაში—გაჩნდა შინაური ფრინველების ჭირი. ჯერ პირველ ორ წელიწადში ჭირმა იმსხვერპლა მარტო ქათმები, მეორე წლებში ეს სენი გადაედო: ინდაურებს, ბატებს და იხვებს. დღეს ს. კასპში (ორასი კომლია) თუ ნახავთ ოჯახებში თითო ოროლა ფრთას ფრინველს, ისიც დიდი გასაკვირია. შარშან ს. კასპში არ დარჩა ოჯახი, რომ არ დაჰკლებოდათ ათიდგან ორ[illegible] სამოცამდე ქათამი, ინდაური, ბატი, იხვი (ოროლ სამ-სამი ღორიც) ამ სენმა ისე მოსპო შინაური ფრინველების ხსენება, რომ დღეს კვერცხის შოვნაც აღარ არის. საჭიროა შველა, მაგრამ მშველელი არავინ არა გვყავს. შარშან ტფილისის ფრინველთა საზოგადოებამ გამოგზავნა ს. კასპში თავისი ინსტრუქტორი ბ. ტრაფიმოვი, რომელმაც ჩემთან ერთად დაიარა მთელი სოფელი. გლეხებს აჩვენებდა წიგნში დახატულ სურათებს. გლეხის დედა-კაცებმა ნახეს თუ არა ეს სურათები, ყველამ ერთხმად აღიარა, სწორედ ჩვენი ფრინველები ამ სენისაგან იხოცებიანო. ბ. ტრაფიმოვმა აღმოაჩინა ხოლერა, რომლის საწინააღმდეგო წამალი არ იშოვებაო. ესეც კარგი ნუგეშია ჩვენ სოფლელი ხალხისათვის. იმავ წელიწადს ფრინველთა საზოგადოებამ ამ სოფელში დაარიგა ათას კვერცხზედ მეტი, თითო ოროლა კრუხმა გამოჩეკა, ისინიც კრუხთან ერთად დაიხოცნენ, ასე რომ ფრინველთა საზოგადოებამ ვერ მიაღწია თავის მიზანს. ეს კითხვა სერიოზული კითხვა არის, თუ მთავრობამ თავის მხრივ სასტიკი ზომები არ მიიღო ამ სენის წინააღმდეგ, მაშინ ქალაქსაც დიდი ზარალი მიეცემა. იქნება დრო დადგეს, ქათამი ფასობდეს ორ მანეთად, კვერცხი ხუთ-ექვს კაპეიკად. ამ სენით როგორც ფრინველები, ისე ღორები იხოცებიან გიორგობისთვიდგან პირველ მარტამდისინ. ავადმყოფ ფრინველებს ასეთი ნიშანი აქვთ: ღვიძლი უსივდება ერთი ორად, ზედ აყრია ფეტვის მსგავსად თეთრ მოყვითალო წინწკლები, ნაღველა უსივდებათ ერთ-სამად, გეგონებათ ნაღველაზედ გადაწოლილა სისხლით გაჟღენთილი წურბელა, ფრინველები ყოველთვის იხოცებიან ღამ ღამობით, ქანდარიდან ცვივიან. თუ ამ დროს პატრონმა მოასწრო, დაჰკლამს და მიირთმევს, თუ ვერ მოასწრო, მაშინ კი აღარა ეშველება რა. ვერავინ ვერ შეატყობს ავადმყოფ ფრინველებს დღისით: მარდად სჭამენ. საჭმელს, გარბიან გამოირბიან ცოცხლად, მაგრამ ღამ-ღამობით კი ესე იხოცებიან. მკვდარი ქათმის ხორცი არაფრით არ ერჩევა საღ ქათმების ხორცს, ყოველ მხრიდან საღია, ასე რომ პატრონს ადვილად შეუძლიან მკვდარი ქათმის გასაღება.

როგორც საქმის გარკვევამ დამარწმუნა, რა სატკივარითაც იხოცება შინაური ფრინველები, იმავე სატკივარით იხოცება ღორებიც. ის კი ვერ მივაგენი, ფრინველებიდან გადავიდა ეს სენი ღორებზედ, თუ ღორებიდან ფრინველებზედ. უფრო ფრინველებიდან უნდა გადადიოდეს ეს სენი, რადგანაც სოფლად ყურადღებას არ აქცევენ სანიტარულ წესებს, დახოცილ ფრინველებს ჰყრიან ბაღებში, წყლის ნაპირებზედ, ღორებიც მისდევენ, ასრულებენ სანიტარის როლს და ამითი იხოცავენ თავებს. ესაა ჩვენი სოფლის გაჭირება.

ა. დარეჯანაშვილი.

## წერილი თელავიდან

11 იანვარს წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში, იმ ოთახში, სადაც გარდაიცვალა ასპინძის ომის გმირი მეფე ერეკლე მეორე, გარდახდილ იქმნა პანაშვიდი.

პატარა კახი თავის სიცოცხლის უკანასკნელი წლებში, თელავში უმთავრის ციხის სასახლეში სცხოვრებდა და აქვე გარდაიცვალა 11 იანვარს 1798 წელს. 10 დღე გვამი ესვენა ღვთაების ეკლესიაში, მხოლოდ 21 იანვარს წაასვენეს მცხეთის ტაძარში დასაკრძალავად.

1845 წელს სასახლე გადაკეთებულ იქმნა. მხოლოდ შემდეგ აქ გაიხსნა აწ არსებული დედათა სასწავლებელი. ის ოთახი, სადაც მეფე გარდაცვლილა, ხელუხლებლად დაუტოვებიათ, იგი წარმოადგენს პატარა ორ ფანჯრიან და თაღ-გადაქნილ ოთახს თეთრად გალესილს. აქნობამდე სასწავლებლის სივიწროვისა გამო ამ ოთახში მოთავსებული ჰქონდათ ბიბლიოთეკა, მხოლოდ ეხლა, როცა ახალი შენობა ააშენეს, შესაძლებელი გახდა მისი განთავისუფლება.

ვისაც კი თელავში უხდება მოსვლა, ქართველი იქნება ის თუ უცხოელი, მოვალედ სთვლის თავის-თავს დაათვალიეროს ყოფილი სასახლე და ეს ოთახიც. სხვათა შორის, ესევე ოთახი ინახულა ამ ორი წლის წინედ საქართველოს ეგზარხოსმა ინოკენტიმ და სურვილი გამოეთქვა ამ ოთახში გაუქრობლივ კანდელი ნთებულიყო.

ეხლა წმ. ნინოს სასწავლებლის გამგეობას დაუდგენია, ყოველწლივ ერეკლე მეორის გარდაცვალების თავზე 11 იანვარს პანაშვიდი გადაიხადოს და ეს ოთახი შესაფერისადაც მოაწყონ.

დ.

## მოწერილი ამბები

**ს. კასპი.** წლეულს ხანგრძლივის გვალვის გამო სიმინდის და კომბოსტოს მოსავალმა ძალიან იმტყუნა. დღეს კოდი სიმინდი (ოთხი ფუთი) ისყიდება თექვსმეტ-ჩვიდმეტ აბაზად, მაგრამ ფასი თანდათან მატულობს. კომბოსტო წლევანდლამდისინ ფასობდა ალაგობრივ 15—20 კ., დღეს ფასობს ალაგობრივ ოთხ-აბაზიდან დაწყობილი მანეთამდისინ. ამისთანა ფასს კომბოსტოზედ ღრმა მოხუცებულებიც არ მოსწრებიან. სამაგიეროდ პური და ღვინო უხვად მოვიდა, მხოლოდ წლეულს სირაჯები წინანდებურად აღარ მოვიდნენ, რის გამო სოფელში დიდ ძალი ღვინო დარჩა გაუყიდავი. ენკენისთვიდან აქეთ წვიმები არ ყოფილა, ბევრმა ვერ დათესა პირნახული, ვინც დათესა, იმასაც საიმედო პირი არ უჩანს. დღევანდლამდისინ გაზაფხულის დღეებია, თოვლი ჯერ არ მოსულა, ვნახოთ ახალი წელიწადი, რას მოგვიტანს. ჯერ-ჯერობით კი მუშა ხალხი ძლიერ დაღონებულია.

ა. დ.

## მევენახეთა და მეღვინეთა საყურადღებოდ!

**გოგირდის შემოტანა იტალიიდან პირდაპირ ჩვენში.**

ჩვენი ფირმა მზად არის მიაწოდოს ჩვენ მევენახეთ და მეღვინეთ საუკეთესო ღირსების გოგირდი სიცილიის (იტალია) უდიდესი ქარხნებიდან.

ჩვენში ზოგიერთი ფირმა სარგებლობს მყიდველთა უცოდინარობით და მათზე ასაღებს ეგრედ წოდებულ მარსელის გოგირდს. მივაქცევთ ჩვენ მევენახეთა და მეღვინეთა ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ მარსელში არ არსებობს გოგირდის დეპოზიტები. წინააღმდეგის მტკიცება ემსგავსებოდა იმის თქმას, თითქოს კახეთის ღვინო სვანეთში მოდიოდეს.

იქონიეთ სახეში, რომ მთელს ევროპაში მხოლოდ სიცილიის კუნძულზე მოიპოვება გოგირდის საკმაო დეპოზიტი.

ჩვენმა მევენახეებმა და მეღვინეებმა უსათუოდ პირდაპირ ამ ქვეყნიდან უნდა მიიღონ მათთვის საჭირო გოგირდი და ამ რიგად ისინი საუკეთესო ღირსების საქონელს იაფად შეიძენენ.

ქვემოდ მოგვყავს ციფრები, საიდანაც დაინახავთ, თუ რამდენი ფუთი გოგირდი იქმნა შემოტანილი ჩვენში ბათომზე:

| | | |
|---|---|---|
| 1893 | წელს | 385.020 ფუთი |
| 1894 | „ | 106.2[illegible] „ |
| 1895 | „ | 202.6[illegible] „ |
| 1896 | „ | 276.706 „ |
| 1897 | „ | 305.938 „ |
| 1898 | „ | 286.962 „ |
| 1899 | „ | 298.902 „ |
| 1900 | „ | 138.012 „ |
| 1901 | „ | 223.900 „ |
| 1902 | „ | 192.386 „ |
| 1903 | „ | 253.580 „ |
| 1904 | „ | 196.292 „ |
| 1905 | „ | 53.382 „ |
| 1906 და 1907 | წლის ცნობები არ არის | |
| 1908 | წელს | 109.368 ფუთი |
| 1909 | „ | 3.100 „ |
| 1910 | „ | 75.268 „ |

ამ რაოდენობიდან უმეტესი ნაწილი ბაქოში მიაქვთ, სადაც გოგირდს ნავთის გასაწმენდად ხმარობენ.

ჩვენი ფირმის გოგირდი არის წმინდა და გამოხდილი (გოგირდის სუბლიმე) და არა დანაყილი, რადგან დანაყილ გოგირდში ხშირად სხვა ნივთიერებებს ურევენ ხოლმე.

აქვე მოგვყავს სამეურნეო ჟურნალის „მოსავლის“ რედაქტორის, ბ ნ ვასილ რცხილაძის, აზრი გოგირდის სუბლიმეზე:

„კარგ წამლად ითვლება ის გოგირდი, რომელიც ჯერ აორთქლებით და მერე გაცივებით არის გაფხვიერებული ძლიერ წმინდად.

„აორთქლებით და მერმე გაცივებით მომზადებულ გოგირდის ფხვნილს ანუ როგორც ეტყვიან გოგირდის სუბლიმეს ისეთი ყვითელი ნათელი ფერი აღარ დასცემს, როგორც დანაყულ გოგირდს, არამედ ერთგვარი უელვარო მკრთალი მომწვანო ფერი ეძლევა. ვინც ერთხელ შეაჩვევს თვალს ამ ფერს, მერმე ადვილად შეატყობს, თუ გოგირდს რამე სხვა ნივთიერება აქვს გარეული.

„გოგირდი-სუბლიმე უფრო რბილია ხელში, უფრო მოსდევს ხელს, ადვილადაც ჰნებდება, თუმცა კი ღრაჭა-ღრუჭი ისეთივე გააქვს, როგორც დანაყულს გოგირდს.

„სუბლიმეს მომზადება უფრო ძვირად ჯდება, ვიდრე გოგირდის დანაყვა. ამით აიხსნება შედარებით მაღალი ფასი სუბლიმ-გოგირდისა და ის მოტყუება, რომელიც გამეფდა გოგირდით ვაჭრობაში“. (იხ. „მოსავალი“, № 3. 1913 წ.).

სრულ გარანტიას ვაძლევთ ჩვენებურ მევენახეთ და მეღვინეთ, რომ ჩვენი ფირმის მიერ გამოგზავნილი გოგირდი ზემოხსენებულ მოთხოვნილებათ სრულიად აკმაყოფილებს.

მსურველთ შემდეგი ხარისხების გოგირდი შეგვიძლია მივაწოდოთ:

1°. A ფ[illegible]ზე საბერველით შესაყრელი—1 მან. 45 კ. ფუთი.

2°. B ფოთოლზე საბერველით შესაყრელი 1 მან. 40 კ. ფუთი.

3°. C კოშტი ანუ ლულა 1 მან. 30 კ. ფუთი.

(კოშტი გოგირდი იხმარება დასაწვავად)

4°. D შაბიამანში შესარევი 1 მან. 30 კ. ფუთი.

ამ ფასებში საქონელს ჩავაბარებთ მყიდველთ ბათომში. ბათომიდან შეგვიძლია საქონელი გადაუგზავნოთ მყიდველთ მათი ხარჯით, სადაც კი მოისურვებენ. გოგირდი ჩაყრილი იქნება ორმაგ მაგარ ტომრებში; თითო ტომარა შეიცავს ექვსს ფუთს. ჩვენ სრულიად დარწმუნებულნი ვართ, რომ ასეთი საუკეთესო ღირსების საქონლის ჩაბარებას მყიდველთათვის აძ ფასებში ვერც ერთი სხვა ფირმა ვერ შესძლებს.

ყოველ ტომარაზე, რომლებშიაც ჩვენ მიერ გამოგზავნილი გოგირდი იქნება ჩაყრილი, იქნება ამხანაგობის ნარკა და ასოები A. B. C. D. იმის და მიხედვით, თუ რომელი ხარისხის გოგირდია ტომარაში.

მსურველთ საქონლის დაკვეთა შემდეგ ადგილებში შეუძლიანთ:

1°. შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, თელავში.

2°. ქართული სამეურნეო საზოგადოება, ტფილისში.

3°. საკრედიტო ამხანაგობა და ბ-ნი გუნცაძე, ყვირილაში.

4°. „სასოფლო გაზეთის“ რედაქცია, ქუთაისში.

5°. საურთიერთო ნდობის ბანკი, ბათომში.

ამავე ადგილებში მყიდველთ შეუძლიან შეამოწმონ ჩვენ მიერ გამოგზავნილი გოგირდის ნიმუშები. რასაკვირველია, ამ საქონლის გამოწერა შეიძლება პირდაპირ ჩვენი ფირმისაგანაც ლონდონიდან.

მყიდველთ საქონელი ჩაბარდებათ დაკვეთის შემდეგ თორმეტს დღეში. სასურველია, რომ მათ ეხლავე გვაცნობონ მათთვის საჭირო გოგირდის რაოდენობა, თუმცა საქონლის დაკვეთა 1 მაისამდე შეიძლება.

საქონელი მზად არის გამოსაგზავნად პირდაპირ სიცილიიდან (იტალია).

იმედი გვაქვს, რომ ჩვენებური მევენახენი და მეღვინენი შეიგნებენ, თუ რამდენად ხელსაყრელია მათთვის საქონლის პირდაპირ მწარმოებელთაგან მიღება და ამრიგად შეინარჩუნებენ იმ აუარებელ ფულს, რო-

მელიც დღეს დიდ ვაჭარ-მოვაჭრეთა ხელთ გადადის.

პატივისცემით **დ. გ. ღამბაშიძე** და ამხ.

წერილობითი მისამართი: **D. Ghambashidze et Co.**

ტელეგრამის მისამართი: **Livius London** (მხოლოდ ეს 2 სიტყვა).

P. S. ჩვენი ფირმიდან შეგიძლიათ გამოიწეროთ შემდეგი საქონლები:

1°. წმიდა შაბიამანი—„მაკელსფილდის“ მარკისა და სხვა საუკეთესო ინგლისის ფირმებისა, 98—99% გარანტიით;

2°. პარიზის წმინდა შვეინფურტის მწვანე ფხვნილი;

3°. მომზადებული ფხვნილი ვაზებზე და ხეხილებზე შესასხურებლად სოკოებისა და მწერ-ჭია-მატლების წინააღმდეგ;

4°. გოგირდმჟტიანი (პოლისულფიდები); თამბაქოს გამონაწური (ექსტრაქტი); ქლორიანი ბარი;

5°. რკინის შაბიამანი; მწვანე საპონი; ჟელატინი;

6°. **პულვერიზატორები** (შაბიამანის შესასხურებელი) საფრანგეთის საუკეთესო ფირმებისა;

7°. ტორპილები და საბერველები;

8°. ყურძნის საწურავები საუკეთესო ფირმებისა;

9°. ღვინის და სპირტის ამოსაღები ნასოსები ანუ პომპები;

10°. ღვინის გასასინჯი აპარატები;

11°. აზბესტის ფილტრები;

12°. სასხლავი დანები და მაკრატლები;

13°. ხელოვნური ანუ მინერალური სასუქი;

14°. ყოველგვარი თესლეული საფრანგეთის და საერთოდ უცხოეთის საუკეთესო ფირმებისა;

ზემოდ ჩამოთვლილ საქონელთა გარდა შეგიძლიათ გამოიწეროთ ჩვენი ფირმიდან ყველაფერი, რაც კი მეურნეობაში გჭირდებათ, ძლიერ ზომიერ ფასებში. ფასებს და პირობებს გაცნობებთ შეკითხვისთანავე.

## თეატრი და ხელოვნება

**სახალხო სახლი.** კვირას, 19 იანვარს, ქართულ წარმოდგენების მმართველმა წრემ წარმოადგინა „ბობოლა“ სლობოდას კომ.-სატირა 3 მოქმედებად და გალუსტოვის ერთმოქმედებიანი კომედია: „დუელი“. თუმცა „ბობოლა“ აზრ[illegible] და შინაარსიანობას არ არის მოკლებული, მაგრამ ერთობ გაჭიანურებულია, კომედიის [illegible] არის [illegible], პირველ მოქმედებაშივე ყველაფერია ნათქვამი, შემდეგი მოქმედება ახალს არაფერს ჰმატებს პიესის აზრსა და განვითარებასა. მიუხედავად ამისა, ამგვარი პიესის წარმოდგენა სასურველია: იგი ეხება სიცოცხლის საკითხს, ფრიად ცხოველ მყოფელსა და მნიშვნელოვანს. სწავლა-განათლების საქმე ჩავარდნილია იმათ ხელში, ვინც ყველაზე ნაკლებ არის დაინტერესებული ამ საკითხის ავკარგიანობით. უვიცნი, ხეპრენი, ჯიუტნი და უზნეონი დამცინავი ბედის წყალობით უდგანან ბავშვთა აღზრდის საქმეს და სკოლიდან სდევნიან ისეთს ელემენტებს, რომელნიც სასარგებლონი არიან და პირნათლად ემსახურებიან მეცნიერებასა და ბავშვთა აღზრდის საქმეს.

მთავარი როლი ამ კომედიისა შეასრულა რომანიშვილმა. ამ სცენის მოყვარემ უკვე ისახელა თავი ნიჭიერისა და გონივრულის თამაშით; მსახიობის თამაშს ზოგიერთი ნაკლიცა აქვს, როგორც მოდრეკილება კარიკატურიზმისადმი, მაგრამ ეს მეორე ხარისხოვან ნაკლად უნდა ჩაეთვალოს. საერთოდ, რომანიშვილის ხელოვნურის თამაშით დამსწრე საზოგადოება სტკბება ხოლმე. შესაფერად დაასურათ-ხატა ი. ზურაბიშვილმა, დინჯი, დარბაისელი, მეცნიერების და თვის საქმისთვის თავდადებული მასწავლებელი. იგი ჩუმი, უტყვი, მაგრამ თუ საქმე მის რწმენის უარყოფაზე მიდგა, მის სინიდისს შეეხო, აქ იგი მებრძოლია დაუთმობელი. სახალხო სახლის სცენაზე პირველად გამოვიდა ბ. ათონელი. მას სცენაზე თავი თავისუფლად ეჭირა. დაკვირვებით ჩაატარა მლიქვნელ, უფროსთა ფეხის მლოკავი მასწავლებლის როლი. კარგები იყვნენ ბ.ბ. ანაშვილი, ფრონისპირელი და ქ. ციმაკურიძე.

ამის შემდეგ წარმოადგინეს გალუსტოვის „დუელი“ არ ვიცით, რა მოსაზრებით დაურქმევია ავტორს თვის პიესისთვის კომედია; იგი ფარსი-ვოდევილია და ისიც მდარე ხასიათისა. ეს ვოდევილიც სცენის მოყვარეებმა [illegible]არულად ჩაატარეს.

მუშლი.

შაბათს, 25 იანვარს, **საზოგადო კლუბის დარბაზში** რუსულად სდგამენ „ლაბირინტს“.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**21 იანვარი.**

### უცხოეთი.

**სოფია.** რუსეთის ელჩმა სავინსკიმ ფერდინანდ მეფეს წარუდგინა რწმუნებულების ქაღალდი. სავინსკიმ მეფეს სიტყვით მიჰმართა და იმედი გამოსთქვა, რომ რუსეთი და მისი მონარქი იზრუნებენ ბულგარეთის ერის კეთილ წარმატებისთვის. მეფე ელჩს ერთს საათს ესაუბრა.

**პეკინი.** პრეზიდენტის ბრძანებით სამხედრო მინისტრი დუანციჟუი თვის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა. იგი ასრულებდა ხუბეის დუდუს მოვალეობას. ხუბეიში მის ნაცვლად გენერალი დუანძიგუი გაიგზავნა.

**ბერლინი.** ქვეითი ჯარის უფროსა ფონ-რეიტერი ცაბერნიდან ოდერის ფრანკფურტში გადაიყვანეს იმავე თანამდებობით; პორუჩიკი ფორსტნერი ბრომბერგში გადაიყვანეს.

**სოფია.** ბულგარეთის სააგენტოს სიტყვით, ტყუილია, ვითომც საბერძნეთის გემებზე ბულგარები აპირებდნენ დაცემას ვარნასა და ბურგასის ნავთსადგურებში.

**ლვოვი.** პოლონელთა სახალხო პარტიის კონგრესზე ტირნოვში ორი გათიშული ფრაქცია შეერთდა, კონგრესმა სტაპინსკი პარტიის წევრთა სიიდან გამორიცხა.

**ტოკიო.** გაიმართა მიტინგი, რომელსაც 5,000 კაცი დაესწრო. წარმოსთქვეს სიტყვები, რომლითაც პრემიერს საზღვაო უწყებაში ბორო[ტ]-მოქმედებანი ჰბრალდება. მოლაპარაკენი კაბინეტის გადადგომას მოითხოვენ. კობეში კოვასაკის გემთა სადგმაშენებლოში გაიფიცა 400 მუშა. გაფიცვის მიზეზი ხელ-ფასის დაკლებაა.

**სოფია.** მთავრობა თხოულობს დანიშნოს მოსამართლედ ოჭრილ არის გამო საბერძნეთ-ბულგარეთის შორის ატეხილ დავაში ბელგიელი ოფიცერი.

**მუკდენი.** პეკინიდან მოსულ მოწერილობის თანახმად გაძლიერეს ბრძოლა მანჯურიაში მონარქიულ [illegible] წინააღმდეგ.

**ბელგრადი.** საქალაქო არჩევნებში უმრავლესობა მთავრობის პარტიას ერგო.

**ბრაუნშვეიგი.** სოციალისტთა მიტინგის შემდეგ, სადაც პროტესტი გამოაცხადეს არსებულ საარჩევნო სისტემის წინააღმდეგ, ქუჩებში დემონსტრაცია გაიმართა, პოლიციამ დემონსტრანტები გაჰფანტა. დაჭრილია ერთი პოლიციელი.

**პარიზი.** პუტილოვის ქარხნის თაობაზე შეტანილი შეკითხვა, ტომისა და ლორეს თხოვნის თანახმად, განხილება საფინანსო პოლიტიკის შეკითხვის განხილვის შემდეგ.

**ლვოვი.** რუსთა კრებამ რეზოლიუცია გამოიტანა, რომლითაც იგი პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ უკრაინელებმა ისტორიული სახელწოდება „რუსის ერი“ „უკრაინულ ერად“ გადააკეთეს, რუსეთის კულტურულ მოძრაობის წინააღმდეგ, დამშეულთა სასარგებლოდ შემწეობის არა სამართლიანი განაწილებისა და უგრორუსთა პროცესის წინააღმდეგ.

### რუსეთი.

**კიევი.** დაიწყო „კიევლიანინის“ რედაქტორ შულგინის საქმის გარჩევა. მას ბრალდება 24 ენკენისთვის ნომერში ბეილისის საქმის გამო მოთავსებულ წერილით განზრახ მოგონილ, ყალბ ცნობების გავრცელება კიევის სასამართლო პალატის ბრალმდებელ ჩაპლინსკის მოქმედებაზე. დარბაზი ხალხით არის გაჭედილი. დამცველად კალაჩევსკაია (?) მოწმეებად გამოწვეულნი არიან ბრალმდებელი ჩაპლინსკი, სასამართლოს წევრნი მაკლაკოვი და ზამისლოვსკი, პოლკოვნიკი ივანოვი და „კიევლიანინი“-ს თანამშრომელი ტრიფონოვი. დამცველის კითხვაზე ბრალმდებელმა განაცხადა, რომ მოწმენი მოწვეულნი არიან, რათა დაადასტურონ საქმის გარემოება, რომელიც აღნიშნულია შულგინის თხოვნაში. დამცველი მოითხოვს გამოიწვიონ ის ექვსი მოწმე, რომელიც შულგინის თხოვნაშია ნახსენები. სასამართლო უარჰყოფს დამცველის შუამდგომლობას. წაიკითხეს საბრალმდებლო ოქმი. შულგინი თავს დამნაშავედ არა სცნობს და აცხადებს, რომ მის მიერ მოყვანილი ცნობები სამართლეს არ არის მოკლებული. ჩაპლინსკი აცხადებს: ტრიფონოვისათვის არ მითქვამს, რომ ბეილისის დამნაშაობაში დარწმუნებული ვარ, ვითომც ბეილისის ბედი არ მაინტერესებს, პიხნოს შევხვდი მემარჯვენეთა ორგანიზაციის ერთ-ერთ კრებაზე. პიხნომ მისაყვედურა ეროვნულ შულლის ჩამოგდება; ამაზე უპასუხე: „იუშჩინსკი მე არ მომიკლავს და მე არა ვარ დამნაშავე ეროვნულ შულლის ჩამოგდებისთვის“. ჩაპლინსკი უარჰყოფს, ვითომც ჟანდარმთა პოლკოვნიკმა ივანოვმა მას უთხრა, რომ კაზაჩენკომ გამოტყდა და ბეილისი გაამხილაო.

შულგინი ამბობს: როდესაც ხელი მოვაწერე ბეილისის საქმის ცნობილ შეკითხვას, დავრწმუნდი ჩემს შეცდომაში, რადგანაც გამოირკვა სრული უსაფუძვლობა რიტუალურ მკვლელობისა. შულგინი ლაპარაკობს ჩაპლინსკის მოქმედებაზე სასამართლოში და აღნიშნავს მის ცალმხრივობას და მიკერძოებას. თავმჯდომარე აჩერებს ბრალდებულს და სთხოვს მოქმედების განხილვაში ნუ შევალთო. კაზაჩენკო გამოუტყდა ივანოვს, რომ ტყუილად ამხილა ბეილისი. ივანოვმა ეს ტრიფონოვსა და პიხნოს უთხრა. ივანოვი უარჰყოფს ამას.

დამცველი ამბობს: შულგინის გულწრფელობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია; ვიდრე წერილს დაწერდა, მან კარგად მოიფიქრა, ყოველმხრივ აწონ-დაწონა და სინდისიერად შეასრულა თვისი მოქალაქეობრივი ვალი. წერილი 27 ენკენისთვეს გამოქვეყნდა, რომ ნაფიცი მსაჯულნი სასტიკად იყვნენ ჩამოშორებულნი საზოგადოებრივ აზრს.

სასამართლომ შულგინს სამის თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

**პეტერბურგი.** ვენიზელოსი მოვიდა. ობუხოვის ქარხნის ლითონის ჩამომსხმელი მუშები სამი თვის გაფიცვის შემდეგ მუშაობას შეუდგნენ. ყველა განყოფილებისა და სახელოსნოს მუშები მუშაობენ.

**ჰელსინგფორსი** სენატორ რეინე სალის ხელმძღვანელობით შემოწმეს სეიმის დეპუტატთა რწმუნებულობა[illegible] წერა.

[illegible] სენატის თანადასწრებით დაასაფლავეს განსვენებული [illegible]. წარმოითქვა მრავალი სიტყვა. განსვენებულის საფლავი რამდენიმე ასი გვირგვინით შეამკეს.

**პეტერბურგი.** ვაჭრობის სამინისტრომ სათათბიროში შეიტანა კანონ-პროექტი ეკატერინოსლავში სამთო ინსტიტუტისა და სამარაში პოლიტეხნიკუმის დაარსების თაობაზე.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო, ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით აღვნიშნოთ ის პირნი, რომელთაც ი. ევდოშვილის სასარგებლოდ სიამოვნებით გაიღეს თავიანთი წვლილი:

ძმ. მაღლაკელიძეები 3 მ., უჩანეიშვილი 1 მ., სერგო კვეტენიძე 50 კ., ლუკა ჩხარტიშვილი 50 კ., დიმიტრი ქელიძე 20 კ., ილიკო ბუაძე 50 კ., დავით სანიკიძე 25 კ., გოგრიჩიძე 2 მ., ანჯაფარიძე 30 კ., ირაკლი ბღუ[ლ]ავა 10 კ., კატო კანდელაკი 90 კ., ერქომაშვილი ფილიპე 50 კ., ალექსანდრე სანაძე 50 კ., ა. შავიშვილი 30 კ., ნესტორი ქითანავა 20 კ., მალაქია 10 კ., ვარლამ მიქაძე 1 მან., ტიმოთე ივანეს ძე ანუა 1 მ., იოსებ ადამია 1 მ., ივანე ერქომაშვილი 50 კ., ერისთო გოჩოლეიშვილი 50 კ., ივანე ღლონტი 50 კ., ესტატე ძიგუა 50 კ., გრიგოლ შამათავა 50 კ., მარკოზი ქანტურია 30 კ., ხახუბია 30 კ., ოჩიგავა ფილიპე 50 კ., დათიკო ერქომაშვილი 1 მ., ძმ. გოჩელეიშვილები 50 კ., ივანე მიმინოშვილი 50 კ., ილია ნიკოლოზის ძე თურქია 50 კ., ილიკო კაჭარავა 1 მ., ძმ. შენგელაიები 1 მ., ძაძამია კალისტრატე 50 კ., მუმულია 1 მ., გრიგოლ ჯალაღანია 50 კაპ., ექვთიმე გვაძაბია 50 კ., დიმიტრი მესხი 30 კ., ნესტორ ხითარიშვილი 50 კ., ნიკოლოზ ჭავჭანიძე 50 კ., მ. ქანტურია 50 კ., დ. ქანტურია 50 კ. კოლია პაპასქირი 50 კ., გოლდენბერგი 50 კ., გიორგი ურიდია 50 კ., მ. 20 კ., ერმალო არაბული 40 კ., ალექსანდრე სახოკია 20 კ., № 50 კ., სიდატ 20 კ., ე. იამანდოპულო 35 კ., მეუნარგია 1 მ., გუგუშვილი ი. 50 კ., ევტიხი დ. კუჭულ 1 მ., სამსონ მარღანია 50 კ., ვასილი ქოიავა 20 კ., ტარიელ გ. 50 კ., დომენტი 1 მ., სარდიონ ჭავჭანიძე 50 კ., პავლე კალანარიშვილი 1 მ., ლევანი ადამია 50 კ., ბიკტორი სოფრომიძე 1 მ., კნუშარ 50 კ., ყარამან ქანტურია 50 კ., კონიაგ. 50 კ., მარკოზი გუგუშვილი 20 კ., გრიგოლი მიმინოშვილი 50 კაპ., ლავრენტი კალანდია 50 კ., მელიტონ კიღურაძე 50 კაპ., ნესტორ მასხარიშვილი 1 მ., ელიზბარი კაჭარავა 5 მ., იაკობ ნადარეიშვილი 1 მ., ილია მოსიძე 1 მ., ეზონი 50 კ., ვასო აბაშიძე 50 კ., სანდრო კობალაძე 50 კ., ფარნა ტარიტ 20 კაპ., ანტონ გალდავაძე 50 კ., ალექსანდრე გალდავაძე 20 კ., კოლია გელენიძე 20 კ., გრიგორი ფარცხავა 10 კ., ალექსანდრე ჭიშკარიანი 25 კ., დიმიტრი სორიანოვ 1 მ., ემხტე იაკიძე 50 კ., თომა ჯავახიძე 20 კ., ვანო გეორგობიანი 20 კ., თევდორე მოსაშვილი 20 კ., ილარიონ მელაძე 50 კ., დავით ლოლაძე 20 კ., ილია კიკვაშვილი 20 კ., ნესტორ ჯოხაძე 50 კ., ნიკო გეგელაშვილი 2 მ., გრ. პოკუა 1 მ., ვლად. ტურქიამ 1 მ., გაბუნია და ძიგუა 50 კ., ბაგრატი გობეჩია 30 კ., ნიკო კოკაია 20 კ., ვასო ბახტაძე 10 კ., ისია სანგულია 20 კ., ისია არაბიძე 20 კ., ტარასი ანდღულაძე 65 კ., გრინბერგი 50 კ., დიმიტრი ნორაკიძე 50 კ., იაგორ მილორავა 30 კ., ანტონ ნინუა 1 მ., ვანო ბოჯგუა 1 მ., ქრისტო საბაშვილი 65 კ., ერ. ბუბუაძე 50 კ., მარი ცაგურია 50 კ., ივანე პატარაია 1 მ., ვანო მესხი 20 კ., მელიტონ ღლონტი 50 კ., დიმიტრი ზოდელავა 15 კ., ილარიონ გაბუნია 50 კ., პილა წითლიძე 20 კ., ვანო კილაძე 20 კ., ვლადიმერ ქუთათელაძე 20 კ., ვლადიმერ წიქორიძე 50 კ., მათე მიქავა 50 კ., ბიქტორ კუჭავა 50 კ., პავლე ლეინჯალია 50 კ., გიორგი გეგიშიძე 20 კ., ანდრია ცანავა 30 კ., პლატონ ქადუა 15 კ., ზოსიმე ხუხია 20 კ., გრიგოლ დარციმელია 15 კ., ბესარიონ ქელია 15 კ., ნიკოლოზ ბოლქვაძე 50 კაპ., ილარიონ ბერიშვილი 20 კ., დათიკო კოლაძე 20 კ., ლევან ფიჩხაძე 20 კ., ძმ. კოტეიები 30 კ., გრიგოლ შო 20 კ., ბურდღული პატია 20 კაპ., ალექსანდრე ღოღობერიძე [illegible] კაპ., პავლე ხოფერია 50 [illegible] ტრიფონ მესხი 20 კ., სამსონ [illegible] 30 კაპ., ნიკო სიჭინავა 1 მ., [illegible] მ. ჩაგუვა[illegible]ლია 1 მ., ამბაკო [illegible] 50 [illegible] კობახიძე 30 [illegible] ქრისტო კაკულია 30 კ., ბესარიონ ფანცულაია 50 კ., გრიგოლ კანკია 30 კ., ჭიჭიკო ფარულავა 30 კ., იასონ ძაგანია 40 კ., დათიკო კარსანიძე 30 კ., ანტონ ხუნწარია 30 კ., ნიკოლოზ ესაკია 30 კ., ივანე კეკელია 30 კაპ., გრიშა ფადავა 5 კაპ., დათა შურღაია 50 კ., მოსიკო ღლონტი 50 კაპ., ლადი ჯალაღანია 30 კაპ., ვართან ქოიავა 30 კ., კაპიტონ სარიშვილი 30 კ., პატრიკი თალაკვაძე 20 კ., გომდეხან 50 კ., მიხაკო ყუფარაძე 25 კ., კაპიტონ ს—25 კ., ვლად. გაბუნია 50 კ., სამსონ ნინუა 3 მ., აკაკი ჯაიანი 1 მ., კონსტანტინე ჯაიანი 1 მ., სილბისტრო ფაჩულია 2 მ., აზსტოპულო 1 მ., დ. შონია 3 მ., იოსები ურიდია 50 კ., მიხეილ ლევანის ძე 1 მ., ნიკიფორე ჩიმკაძე 1 მ., ისააკ ჟვანია 1 მან., ტრიფონ კაჭარავა 1 მ., ვასილ ესიავა 50 კ., ივანე დანელია 50 კ., ჭიჭიკო დანელია 50 კ., პავლე კაჭარავა 50 კ., იპოლიტე კაჭარავა 50 კ., ბარნაბა ჩაჩიბაია 50 კ., ლევან მელაძე 50 კ., გრიგოლ ცეკვავა 50 კაპ., გრიგოლ ურიდია 50 კაპ., მარკოზ შეროზია 50 კ., ტარასი სიჭინავა 50 კ., გიგინეიშვილი 1 მ., ლევან გვალია 1 მ.

გადავეცით ბ. ი. ევდოშვილს 107 მან. 25 კაპ.

1) ნოე ქურიძე, (ზომლეთელი), ) ძუკუ ლოდუა.

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

## ვეძებთ ალაგს

**ცოლ-ქმარნი,** საქალაქო სკოლებში, სადმე მოსამსახურისას, აფთიაქში, სამკურნალოში, საავადმყოფოში, მეეზოვისა და სხვ. მისამართი: პირველი უბანი, გუნიბის ქ., სახ. № 45, **ილიკო გოგებაშვილი.**

## სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა

**გადავიდა** საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, სამშობიარო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

## მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **სამფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 1 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 8 წ. № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**ჯულფისაკენ:** **საფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს. 0 წ.

**ყარსისკენ:** **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათომიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს. 12 წ.

**ჯულფიდან** № 4/3 საფოსტო 7 საათსა და წუთსა საღამოთი.

**ერევნიდან** № 26/25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

## ვასწავლი

ქართულ „სიმღერა-გალობას“ და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს გუნდისთვის. გუნდის მიწვევა კონცერტებზე, ეკლესიებში, როგორც ტფილისში, ისე პროვინციებშიც. პირობების გაგება, მოლაპარაკება და ჩაწერა მიხეილ კავსაძესთან, კვირაობით 3—5 ს.-დე და ოთხშაბ. 6—8 ს. **ბებუთის ქ. № 29.** ვიღებ და ვასწავლი მუშა ხალხსაც. 1027

## ექიმი ა. ნ. ღიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, სახ. გაბაშვილისა.

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

**დილით:**

**„606“ და „914“**

**11—12 ს. შეშხაპუნება**

**კონსულტაციურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ბეკზადიანი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**ზ. ა. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ბ. გ. ბენიამინოვი:** 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

**მ. გ. ბეგლარიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვთა და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ლ. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

**საღამოთი:**

**მ. გ. ბეგლარიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1004

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1—2 **ვ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5— 6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვის ქ. 10, ტელ. 645).

7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 **გ. თ. ნათაძე** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში [illegible] ელისაბედის ქუჩა 56 [illegible] წერილება [illegible]

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ

**1914 წლის, 25 იანვარს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია**

## საჯარო ვაჭრობა,

მოტოციკლებისა და ველოსიპედების გადასახადის იჯარით გასაცემად. პირობების გაგება შეიძლება გამგეობის კანცელარიის მე-4 განყოფილებაში ყოველ-დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. 1034

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი **პირველი**

## საბუღალტრო კურსები ნ. პ. აბრამიანისა

(დაარსებულია 1896 წ.)

„სავაჭრო ბუღალტერიის სახელმძღვანელოს“ და სხვა სპეციალ. სახელმძღვანელოების ავტორისა.

ორივე სქესისათვის რადგანაც მეცადინეობა ყოველ დღე იქნება კურსებზე, **სწავლა 4 თვე გაგრძელდება.**

მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან 1914 წ. კურსებზე საფუძვლიანად სწავლობენ: მრეწველობის ყველა დარგის ბუღალტერიას, ნავთის მრეწველობასთან და ნავთის ქარხნებთან დაკავშირებით, სხვა და სხვა მეთოდით, მაგრამ სპეციალურად იტალიური ორმაგი სისტემით; კომერციული ანგარიში; კომერციული კორესპონდენციას; ვექსილისა და ვაჭრობის უფლებას—პოლიტიკური ეკონომიას; ანგარიშს ჩოტებზე და კალიგრაფიას. არა სავალდებულოდ: უცხო ენებს, სტენოგრაფიას და საბეჭდავ მანქანით ბეჭდვას. მასწავლებლები—თავიანთ საგნების სპეციალისტები არიან, უმაღლესი განათლებით პრაქტიკულად და თეორიულად მომზადებულნი.

**ექსტერნები** სამინისტროს ნებართვით სუსტად მომზადებულთათვის კურსებთან დაარსებულია დამატებითი მოსამზადებელი კლასები: რუსული ენისათვის და ანგარიშისათვის.

კურსების პროგრამა და წესი მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველთ ყოველ დროს. ტხოვნები მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

კურსები აწვდის სავაჭრო დაწესებულებებს თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებულ ბუღალტრებს, თანაშემწეებს, კორესპონდენტებს და სხვა და სხვა საქმის მცოდნე მოსამსახურეებს კურსების თაოსნობით. კურსებზე უსწავლია 2,200 კაცზე მეტს.

პირადად ან წერილობით მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, 22, ს. ს. ტელეფონი 744. 1634

## თევზის მრეწველნი ძმ. ძებველოვები.

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.**

**ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**ფოსტის განყოფილების ძველ, საკუთარ სახლში.**

## იყიდება იმავე ხარისხის საქონელი,

**როგორც პუშკინის ქუჩაზე.**